გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№36 (1062) 1 – 2 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## ვინ აკონტროლებს და რატომ ითხოვენ ექსპერტები ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვას?

გვ. 8

## როგორ დავიცვათ თავი სწრაფი სესხის აღებისას

# „კი ბატონო, ავიღებ ჩემს თავზე ამ დარტყმას და ხმამაღლა ვიტყვი ყველაფერს!"

**თუ ჰგონიათ, ამ ბრძოლას იოლად დავთმობ, ძალიან შემცდარან. ასეთ ვერაგულ ტყუილსა და შეურაცხყოფას ვერავის ვაპატიებ!**

**ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილსაც ვესაუბრე — აბა, ერთი ჰკითხეთ, ვინაა ეს თევზაძე. ეს გულისტკენა არ მეკუთვნოდა. რუსთაველზე ველარ დავდივარ და თუ დავდივარ, თეატრისკენ არ ვიყურები, გესმით, ეს ჩემთვის რას ნიშნავს?!**

**თუ ყველას ფეხებზე ჰკიდია, რომ სეზონნახევარია, თეატრში არ ვარ და საპირწონედ ეს ვიგინდარა დამიყენეს, მაშინ ჯერ ჩემი თავისთვის და ჩემი გაკეთებულისთვის მიმიფურთხებია. ერთ ღილაკს დავაჭერ ტვინში თითს და მთელს მახსოვრობას წავშლი. თუ საკითხი ასე დგას, რომ თეატრში ეს ვიგინდარა უნდა იყოს და არა მე, ვინმესთან კი არ მაქვს პრეტენზია, საკუთარი თავისთვის მიმიფურთხებია და აღარც გავიხსენებ, რა პროფესიის ვარ**

გვ. 5–6

## ვის უცხადებს პროტესტს და რაზე ესაუბრა ბიძინა ივანიშვილს ზაზა პაპუაშვილი

## რომელ საკითხებს არ შეეხო პრეზიდენტი გამოსვლაში და რისთვის გადაუხადა მადლობა ნაციონალებს

გვ. 3

## ლიბერთი კლუბის საჩუქარი ლიბერთი ბანკის ბარათის მფლობელებს

გვ. 2

# ბესო ხარძიანის ცხოვრების უცნობი დეტალები

## ეროვნული ფინალი

## დადო ბედუკაძის მოწყობილი კონსპირაციული შეხვედრა ციხეში

## რა შეუთვალა შს მინისტრს ხარძიანმა და რატომ გაწირა მერაბიშვილმა

გვ. 4

## ირაკლი ღარიბაშვილი გაერო-ში რამდენიმე ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს გამოცდილება დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით და წამყვანი პოზიციები მსოფლიოს ავტორიტეტული სარეიტინგო კომპანიების შეფასებებში — ეს იყო საუბრის ძირითადი თემები.

პრემიერმა ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული ვიზების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც 2015 წლის თებერვლიდან ამოქმედდა და აღნიშნა, რომ მოკლევადიანი ტურისტული ან საქმიანი ვიზის მიღება, საკონსულოში მისვლის გარეშე, სპეციალური პორტალის მეშვეობით არის შესაძლებელი.

ისაუბრეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ჰუმანიტარული ვითარების შესახებ.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა სავაჭრო-ეკონომიკური, ტურიზმის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა იმ ქვეყნებთან, რომელთა წარმომადგენლებიც დღევანდელ შეხვედრას დაესწრნენ.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გლობალური პარტნიორობის განვითარება აფრიკის, ლათინური ამერიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის რეგიონებთან, საქართველოსთვის პრიორიტეტულია. აღნიშნულ კონტექსტში პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს საელჩოები გაიხსნა მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, ეთიოპიაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას გაერო-ში კაბო ვერდეს რესპუბლიკის, გრენადის, გვინეის რესპუბლიკის, იამაიკის, ტიმორ-ლესტეს, ტონგას სამეფოს და უგანდის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქართველოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში კახა იმნაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია.

*„პირველი“*

## ლატვია ევროკავშირს საქართველოსა და უკრაინისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივებას სთავაზობს

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ედგარ რინკევიჩის განცხადებით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტზე, ევროკავშირმა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას მხარი უნდა დაუჭიროს.

სააგენტო LETA მინისტრზე დაყრდნობით წერს, რომ ევროკავშირის ქვეყნები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მხარდასაჭერად ერთიან პოლიტიკურ ვალდებულებებზე უნდა შეთანხმდნენ.

**„ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტის მხარდასაჭერად, ერთიან და მკაფიო პოლიტიკურ ვალდებულებებზე მოუწევთ შეთანხმება, რომელიც ამავე დროს იმ ქვეყნების მხარდაჭერასაც გულისხმობს, რომლებიც რეალურ რეფორმებს ატარებენ და ასოცირების შესახებ შეთანხმება გააფორმეს. ვგულისხმობ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას“,** — განაცხადა რინკევიჩმა.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ, თუკი საქართველომ და უკრაინამ აუცილებელი მოთხოვნები შეასრულეს, მათ შორის ბიომეტრიული პასპორტებისა და ცალკეული კანონმდებლობების დახვეწის კუთხით, რიგის სამიტზე ევროკავშირმა ამ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მწვანე შუქი უნდა აუნთოს: **„ეს უვიზო რეჟიმს არ ნიშნავს, თუმცა ვიზების გაცემას საგრძნობლად გაამარტივებს“.**

*„პირველი“*

## 1 აპრილიდან სოციალურად დაუცველთა ქულების დათვლის ახალი სისტემა სატესტო რეჟიმში ამოქმედდება

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, ზაზა სოფრომაძის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ახალი სისტემით დაახლოებით 5 ათასზე მეტი ბენეფიციარი შემოწმდება, საბოლოოდ კი ახალი პროგრამა ეტაპობრივად დაინერგება.

სოფრომაძის თქმით, უახლოესი ერთი თვის განმავლობაში, ახალი სისტემით სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ახლადჩართული და ის ბენეფიციარები შემოწმდებიან, რომლებიც მასში აქამდეც იყვნენ ჩართულები, თუმცა ამ მხრივ გარკვეული პრობლემები არსებობდა: **„პრინციპები უკვე განსაზღვრულია. თვითონ შეფასების სისტემაში მაქსიმალურად შემცირებულია ის ინსტრუმენტები, როდესაც გადაწყვეტილების მიღება, რაღაც სუბიექტურ ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული. ანუ სოციალურ აგენტს დამოუკიდებლად არ ექნება უფლება, თვითონ დანიშნოს ან მოხსნას სოციალური დახმარება, რისი პრეცედენტებიც იყო“.**

მინისტრის მოადგილის განმარტებით, შეფასების ახალ სისტემაში, გარკვეული ტიპის ნივთების ქონა-არქონა, ისეთების, როგორიცაა მაცივარი, ტელევიზორი და სხვა, ქულების რაოდენობაზე გავლენას აღარ მოახდენს: **„შეფასებისას, მთავარი ამოსავალი წერტილი იქნება ის ქონება, რომელსაც მოქალაქისთვის გარკვეული შემოსავალი მოაქვს. პროგრამა ასევე ბავშვზე ორიენტირებული ხდება — ოჯახები, რომლებიც სოციალური დახმარების მიმღებები ხდებიან, მათ დამატებითი ბენეფიტები იმის მიხედვით დაემატებათ, თუ რამდენი ბავშვი ჰყავთ ოჯახში. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების და კერძოდ „იუნისეფის“ შეფასებით, ახალი პროგრამის ამუშავების შემდეგ, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ბავშვების რაოდენობა თითქმის განახევრდება. ასევე მნიშვნელოვანი მომენტია, რომ დახმარებები დიფერენცირებული ხდება. ანუ დახმარების შედარებით მეტ რაოდენობას მიიღებს ის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება და შესაბამისად ყველაზე ნაკლებ ქულას დააგროვებს. ამასთანავე იმატებს ქულების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც დახმარება ინიშნება. ახლავე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს უფრო მოქნილი და ობიექტური სისტემა იქნება“.**

*„პირველი“*


**ლიბერთი კლუბი მომხმარებლებს წამახალისებელ აქციას სთავაზობს — ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით გადახდისას, მომხმარებელი საჩუქრად 5 ლარის სასაუბრო დროს მიიღებს.**
**მომხმარებელმა გადახდა უნდა განახორციელოს მინიმუმ 10-ჯერ, 10 ლარის ოდენობით თითოეული გადახდის დროს.**
**ყოველი ასეთი მეათე გადახდის შემდეგ, მომხმარებლის სასაუბრო დრო ავტომატურად შეივსება 5 ლარით.**
**აქცია მოქმედებს ლიბერთი ბანკის ყველა მომხმარებლისთვის. აქციაში ავტომატურად მონაწილეობს მომხმარებელი, თუ იგი ფლობს ლიბერთი ბანკის მიერ გამოშვებულ ნებისმიერ ბარათს და გადახდას განახორციელებს მოცემული ბარათებით (მაგალითად, სახელფასო ბარათით, საკრედიტო ბარათით, სმარტივი ბარათით და ა.შ.). მე-10 გადახდაზე მომხმარებლის სასაუბრო დრო ავტომატურად შეივსება 5 ლარით.**
**ამავდროულად, ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით გადახდისას, მომხმარებლები კვლავ დააგროვებენ ლიბერთი კლუბის ქულებს. მათ განაღდებას კი ვებ გვერდიდან www.LBClub.ge ან ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბანკომატის გამოყენებით შეძლებენ.**
**დამატებით, მომხმარებლებს შეუძლიათ, მიიღონ 50%-მდე ფასდაკლებები Cheap.ge პარტნიორ ობიექტებში, თუ გადახდა განხორციელდება ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით ლიბერთი ბანკის POS ტერმინალზე.**
**დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს www.LBClub.ge**

# ლიბერთი კლუბის საჩუქარი ლიბერთი ბანკის ბარათის მფლობელებს

# რომელ საკითხებს არ შეეხო პრეზიდენტი გამოსვლაში და რისთვის გადაუხადა მადლობა ნაციონალებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა და ყოველწლიური ანგარიში 31 მარტს, დამოუკიდებლობის აღდგენის საყოველთაო რეფერენდუმისა და პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს დაემთხვა. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ამ დღეს, გამოკითხვაში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრებმა ჩვენმა მოქალაქეებმაც მიიღეს მონაწილეობა და მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირეს. რომ არა ზვიად გამსახურდია და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენები, არც ეს რეფერენდუმი ჩატარდებოდა, არც პარლამენტი გვეყოლებოდა და დეპუტატთა დიდი ნაწილიც არ იჯდებოდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დარბაზში. კარგია, რომ ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემაც აღნიშნა და განაცხადა, რომ 24 წლის წინ, ამ დღეს, რეფერენდუმი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარდა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობა. ხელისუფლება კი 31 მარტის ამ ორ მნიშვნელოვან მოვლენას ერთი ზოგადი განცხადებით გამოეხმაურა.**

პრეზიდენტის თითქმის ერთსაათიანმა გამოსვლამ რამდენჯერმე აპლოდისმენტიც დაიმსახურა, ერთი-ორჯერ დარბაზიდან წამოძახილიც და მოგვიანებით, არაერთგვაროვანი შეფასებებიც — თუმცა ყველა შეთანხმდა, რომ გამოსვლა სოლიდური იყო. ყოველწლიურ ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე. მთავრობის წარმომადგენლები ანგარიშის მოსასმენად არ მოვიდნენ და დღის მთავარი ხუმრობაც ასეთი იყო — პარლამენტში იყვნენ არასამთავრობოები, არ იყვნენ სამთავრობოები. თავის მხრივ, გამოსვლაში მარგველაშვილი მთავრობასაც რამდენჯერმე შეეხო, გამოსვლის მთავარ ლაიტმოტივად კი დაასახელა საქართველოს გზა „პოსტსაბჭოთა სივრციდან ევროპულ სახელმწიფომდე". სიტყვით გამოსვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, საგარეო კურსით დაიწყო და მარგველაშვილმა მთავარ გამოწვევად ევროპისგან შორსყოფნა დაასახელა. არცთუ ვრცლად ისაუბრა ეკონომიკურ და სავალუტო კრიზისზე, უმუშევრობაზე, ეკონომიკური ზრდის შემცირებაზე, ამ პროცესებზე საგარეო, „შოკური" ფაქტების გავლენაზე. ხოლო მიღწევათა შორის მანაც „რეცეპტების კანონი", საყოველთაო ჯანდაცვა, სასწრაფოს რეფორმირება, C ჰეპატიტთან ბრძოლა, სოფლის მეურნეობაში — შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა დაასახელა და ცალკე აღნიშნა მთავრობის კიდევ ერთი პროგრამა „აწარმოე საქართველოში". გამოსვლის შემდეგი თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იყო — პრეზიდენტმა რუსეთთან თანასწორი პოლიტიკის გაღრმავებაზე, რუსეთის მიერ „რბილი ძალით" დასავლეთისგან ჩამოშორებაზე, საერთაშორისო თანამეგობრობის მეტ მხარდაჭერაზე ისაუბრა. გიორგი მარგველაშვილი კონფლიქტების მოგვარების თემაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმის მოწვევის ინიციატივითაც გამოვიდა და თქვა, რომ აქტიური კონსულტაციები უკვე დაწყებულია და ცოტა ხანში, კონსენსუსის კონტურებიც გამოიკვეთება. მისი თქმით, სადავო საკითხების გადასაჭრელად, აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგია საჭირო, რისთვისაც ქართული მხარე მზაობას აცხადებს. პრეზიდენტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებსაც შეეხო: განაცხადა, რომ ამაყია ქართული ჯარით და იმით, რომ სამხედრო მოსამსახურეების 7% ქალია. მან მოვალეობის შესრულებისას დაჭრილი 435 და გარდაცვლილი 29 სამხედროც ახსენა. პრიორიტეტებად თავდაცვითი შეიარაღების გაზრდა და განახლება დაასახელა, ხაზგასმით ისაუბრა ნატო-ს საწვრთნელი ბაზის შექმნის აუცილებლობაზე საქართველოში და დასძინა, რომ ამ საკითხების დაყენების თხოვნით სხდომაზე მთავრობას ორჯერ მიმართა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. იგი ახალი ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციონირებასაც შეეხო და განაცხადა, რომ საბჭოს ხელოვნური ნინააღმდეგობა ექმნება, რაც მოსახლეობასა და საერთაშორისო პარტნიორებში გაურკვევლობას იწვევს. აქვე, მან იმ სხვადასხვა პროფილების საბჭოებზეც ისაუბრა, რომლებიც მთავრობის ინიციატივით იქმნება და ხშირად, მინისტრებსა და ამ საბჭოების ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობის დუბლირებასაც იწვევს. მისი თქმით, ეს უფლებები და ფუნქციები უფრო მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს და სხვადასხვა მოვლენებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირების ვინაობაც დაკონკრეტდეს. პრეზიდენტმა ე.წ. მოსმენების შესახებ კანონპროექტსაც არ აურა გვერდი და კიდევ ერთხელ ახსნა, ამ კანონს ვეტო რატომ დაადო — მისი თქმით, არსებული კანონით კმაყოფილი არც არასამთავრობო სექტორია, არც მოქალაქეები და არც საერთაშორისო პარტნიორები. პრეზიდენტმა ამ საკითხს, ლოგიკურად, შს სამინისტროსა და პროკურატურის რეფორმირებაც მოაყოლა. მისი თქმით, პროკურატურის სტატუსი და ადგილი დღემდე განსასაზღვრია, ხოლო შს უწყება, „ოცნების" დაპირებისამებრ, საშინაო საქმეების სამინისტროდ უნდა გარდაიქმნას და უშიშროების სამსახური გამოეყოს. ამ ფონზე, მარგველაშვილმა სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერებაზეც ისაუბრა და ალასანიასპარტიელი ნინო გოგუაძის საპარლამენტო გამოსვლიდან ციტატა მოიშველია — უმთავრესი უმცირესობის, ერთი ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცულიო. მანვე 2014 წელი ქალებზე მასშტაბური ძალადობის, 2015 კი ქალთა წლად დაასახელა და დასძინა, რომ საარჩევნო კოდექსში ქალთა კვოტირების სისტემის დანერგვის მომხრეა. მისივე თქმით, საარჩევნო კოდექსში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება გაზაფხულიდან უნდა შევიდეს — ეს არჩევნების მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაა, რასაც პრეზიდენტი მხარს უჭერს. მის ამ ფრაზას კი ტაში მხოლოდ ნაციონალებმა დაუკრეს. ერთსაათიანი შესვენების შემდეგ დეპუტატები სხდომათა დარბაზში ისევ შეიკრიბნენ და 11 ფრაქციის ყველა თავმჯდომარემ 15-წუთიანი სიტყვის უფლებით ისარგებლა. მარათონი დამოუკიდებელი ფრაქციის წარმომადგენელმა, **კახა ოქრიაშვილმა** გახსნა და ძირითადად, მთავრობის ზოგად წარმატებებზე ისაუბრა, ისევე როგორც გია ვოლსკიმ, რომელიც ბოლო გამომსვლელი იყო. ოქრიაშვილის მერე სიტყვა ნაციონალების რეგიონების ფრაქციის ხელმძღვანელს, ასპინძის მაჟორიტარ **ტარიელ ლონდარიძეს** გადაეცა, რომელმაც მთავრობა დაამუნათა, გამოსვლას რატომ არ ესწრებითო და შეეცადა, ხაზი იმ საკითხებისთვის გაესვა, რაზეც, მისი თქმით, პრეზიდენტს არ უსაუბრია: მასმედიაზე ზეწოლა, არასამთავრობო სექტორზე თავდასხმა და სიძულვილის ენა პოლიტიკაში. ნაციონალმა დეპუტატმა გულდაწყვეტით აღნიშნა, პრეზიდენტისგან მთავრობის მეტ კრიტიკას ველოდიო და მოგვიანებით, საინტერესო განცხადებაც გააკეთა: **„იმ დროს ნუ დაელოდებით, როცა ხალხი ყველას ერთად ფინწლებითა და ნამგლებით გაგვყრის".** ამის შემდეგ სიტყვით „მრეწველების" ლიდერი **გოგი თოფაძე** გამოვიდა, რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი 15 წუთი ბეჭდვური და ტელემედიის კრიტიკას შეალია. არაობიექტურები არიან, გაკეთებულს ვერავის ხედავენ და ცრუ ბრალდებებს გვიყენებენო, განაცხადა თოფაძემ: **„პრემიერობის დროს, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პრესა თავისუფალია და არ ჩავერევითო. კი ბატონო, თავისუფალია, მაგრამ რამდენად ობიექტურია?! ბატონო პრეზიდენტო, ამ საკითხით დაინტერესდით და თქვენი პრინციპული პოზიცია უთხარით ამ ჩვენი მედიის წარმომადგენლებს".** დეპუტატს იმის აღნიშვნაც არ დავიწყებია, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კერძო სექტორში სამუშაო ადგილები გაიზარდა. პირველად ცალკე ფრაქციის სახით, ისაუბრეს ალასანიასპარტიელებმა. თავისუფალი დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარემ, **ირაკლი ჩიქოვანმა** ივანიშვილის საყვარელი ფრაზა გამოიყენა და განაცხადა, „ოცნებამ" მოსახლეობის „ჭარბი ნდობა" ვერ გაამართლა, მაგრამ ერთი სასიხარულო ამბავიც მაქვს, „ერთმანეთზე ზრუნვით გაჟღენთილ ორპარტიულ პროცესებში" ოცნება-ნაციონალების გარდა, ე.წ. მესამე ძალაც არსებობს და ეს ძალა ჩვენ ვართო. ისაუბრა სავალუტო კრიზისზე, ინვესტიციების ნაკლებობაზე, ქვეყნის არაფორმალურ მართვასა და მოშლილ სახელისუფლო ვერტიკალზე და შემდეგ გამომსვლელებს ამ შინაარსის განცხადება დაუტოვა: რაც ჩვენ წამოვედით კოალიციიდან, მას მერე ანტინატოს პროპაგანდა უფრო აქტიურად დაიწყოო. მის განცხადებასა და ნაციონალების რიტორიკას კონსერვატორი გიგა ბუკია გამოეხმაურა, რომელმაც საქართველო-დასავლეთისა და საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე მსოფლიო ლიდერებისა და ექსპერტების მიერ გაკეთებული იმედისმომცემი კომენტარები ამოიკითხა. პირდაპირ ირაკლი ჩიქოვანს გამოეპასუხა რესპუბლიკელი **თინა ხიდაშელი,** რომელმაც განაცხადა, რომ კოალიციის არც ერთი მოქმედი თუ ყოფილი წევრისთვის თოფაძის საგარეო შეხედულებები უცხო არ იყო და არც ხელისუფლებას გადაუხვევია არჩეული გზიდან. იგი გვენეტაძესაც მიესალმა, ნაციონალებსაც უპასუხა, ცარიელი სამთავრობო სკამები მეც თვალში მომხვდა, მაგრამ ეს ურთიერთობა პრეზიდენტმა პირადი ძალისხმევით უნდა დაარეგულიროსო. იგი პირველი იყო დეპუტატთა შორის, ვინც გახმაურებულ მკვლელობებს გამოეხმაურა: **„იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის მკვლელობა, შესაძლოა, ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის წინაშეც ხელისუფლება, ახალი შს მინისტრი და პროკურატურის ახალგაზრდა გუნდი დადგა. იმედი მაქვს, ორივე საქმეს სათანადოდ გამოიძიებენ და ხარძიანის მკვლელობაზე უფრო სერიოზულ პასუხს მივიღებთ, ვიდრე ვაზაგაშვილის მკვლელობაზე მივიღეთ".** ჩვეული შემართებითა და ცარიელი ტრიბუნისკენ ხელისგაშვერით ისაუბრა ნაციონალმა **გოკა გაბაშვილმა.** მისი თქმით, მთავრობა არათუ პარლამენტში, არამედ, ზოგადად ქვეყანაში არ არის და ის კალამი, რომელიც ერთხელ ივანიშვილმა მარგველაშვილს ერთ-ერთი შეხვედრისას სიმბოლურად აჩუქა, სიმბოლურად გახდა საპრეზიდენტო ინსტიტუტის წყევლა! მისივე თქმით, ბოლო 18 წლის განმავლობაში, დეპუტატებს სეკვესტრისთვის ხმის მიცემა პირველად მოუწევს. როგორც ჩანს, ბატონმა გაბაშვილმა „სეკვესტროვიჩად" მონათლული ექსპრემიერის, მისი ექსთანაგუნდელის, ზურაბ ნოღაიდელის პერიოდი ამ 18 წელში არ ჩათვალა. ასეთივე შემართებით კიდევ ერთმა ნაციონალმა აკაკი ბობოხიძემ ისაუბრა და 100-მილიონიანი მწვანილის ბიზნესი არც ამ გამოსვლაში დაივიწყა და ისიც დააყოლა, რომ საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხში მკვეთრად შებრუნდა რუსეთისკენ. დეპუტატების გამოსვლები ფრაქცია „ოცნების" ლიდერმა დახურა. ამის მერე პრეზიდენტს შემაჯამებელი სიტყვისთვის დრო მიეცა. გიორგი მარგველაშვილმა კი ყურადღება ქვეყნის პროდასავლური კურსის უცვლელობაზე გაამახვილა, ხოლო ნაციონალებსა და თავისუფალ დემოკრატებს ხელისუფლების მიღწევების დანახვისთვის მადლობა გადაუხადა. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტი გამოსვლაში არც ნაციონალების ლანძღვით დაკავებულა და არც ცარიელ სამთავრობო სკამებზე გაუმახვილებია ყურადღება.

ვერსიანიუსი

## შსს-ში პოლიციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში, პოლიციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას რეფორმის პროცესში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა, შალვა კვინიხიძემ გახსნა. შსს-ს წარმომადგენლებმა შეხვედრაზე სისხლის სამართლის რეფორმაში პოლიციის კომპონენტის განახლებული სამოქმედო გეგმა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მონაცემთა დაცვის საკითხები, არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები წარადგინეს.

სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2008 წლიდან მიმდინარეობს. რეფორმის განხორციელების პროცესში ჩართულია ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა, ასევე სახალხო დამცველის აპარატი და შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. პოლიციის სამუშაო ჯგუფის მიზანია პოლიციაში მიმდინარე რეფორმების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

*„ვერსიანიუსი"*

## 2 აპრილს ბრიუსელში რეგიონული ამბასადორიალი გაიმართება

საგარეო საქმეთა მინისტრის, თამარ ბერუჩაშვილის ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში რეგიონული ამბასადორიალი გაიმართება.

ამბასადორიალზე მინისტრი და მინისტრის მოადგილეები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს შეხვდებიან.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რეგიონული ამბასადორიალის ორგანიზება მიზნად ისახავს რიგის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტამდე ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ელჩებთან მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვას, რაც უკავშირდება საქართველოს მოლოდინსა და მიზნებს რიგის სამიტისთვის ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერას.

ამბასადორიალის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ასევე ე.წ. ხელშეკრულებებზე, იმ მხარდაჭერაზე, რაც საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობისგან მიიღო.

*„პირველი"*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „ოცნებიდან“ 20-ზე მეტი დეპუტატი წამოვა და დამოუკიდებელ ფრაქციას შექმნის?

**პარლამენტში ცივი ომი მიდის — უმრავლესობა, რომელსაც კომიტეტების თავმჯდომარეების საბოლოოდ შეთანხმებული კანდიდატურები გასული კვირის ბოლოს უნდა დაესახელებინა, ჯერაც ვერ შეთანხმდა. ყველა კომიტეტს 2 კანდიდატურა ჰყავს, კოალიციაში შემავალი პარტიები კი, მართალია, პარტინტერესების გამო ერთმანეთს ღიად არ უპირისპირდებიან, სამაგიეროდ, კოალიციას ჩუმად ემუქრებიან. ეს მუქარა კი მურმან დუმბაძის ანონსის ფონზე, ორმაგად საშიშია — მისი თქმით, პარლამენტში უმრავლესობა დაიშლება და კოალიციის წევრებისგან ახალი ფრაქცია შეიქმნება.**

ბოლო ინფორმაცია 4 კომიტეტის თავმჯდომარის 4 კანდიდატურის შესახებ უმრავლესობის სხვადასხვა ლიდერებმა, ხან გია ვოლსკიმ, ხან დიმიტრი ხუნდაძემ გვამცნეს. როგორც ითქვა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანი გახდება, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა – თამაზ მეჭიაური, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა – ზვიად კვაჭანტირაძე, დიასპორასთან ურთიერთობის კომიტეტს კი თემურ ჭკუასელი უხელმძღვანელებს. ამ დეპუტატებს კოალიციიდან კონკურენტებიც ჰყავთ, არაოფიციალურად, ჭკუასელს „ფორუმელი“ შალვა კიკნაველიძე ეპაექრება, რომელსაც, ცხადია, ფორუმი ლობირებს. იგი კომიტეტის წინა თავმჯდომარის, გუბაზ სანიკიძის რჩეული, მოადგილე და თანაპარტიელია, შესაბამისად, ფორუმელები კომიტეტის თავკაცად მის დატოვებაზე ზრუნავენ. მართალია, ითქვა, რომ თემურ ჭკუასელის კანდიდატურა ამ პოსტზე უკვე ყველასთან შეთანხმებულია, მაგრამ, ჯერჯერობით, კიკნაველიძეს საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ ინფორმაცია არ დაუდასტურებია. რაც შეეხება გარემოს დაცვის კომიტეტს, აქ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ სოციალ-დემოკრატს, გია ჟორჟოლიანს კონკურენციას ზვიად ძიძიგურის კადრი და ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ბიძინა გუჯაბიძე უწევს. ხოლო ევროინტეგრაციის კომიტეტის თავკაცობა ოფიციალურად დასახელებულ „ოცნებელ“ ზვიად კვაჭანტირაძეს კი არა, შესაძლოა, თინა ხიდაშელს ჩააბარონ, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, რესპუბლიკელებმა კი არა, კოალიციის სხვადასხვა წევრებმა დაასახელეს პოლიტსაბჭოს სხდომაზე და ამ საკითხში მისი ერთპიროვნული ლიდერობა აღიარეს. „ვერსიის“ ინფორმაციით, რომელიც უმრავლესობის ორ სხვადასხვა ლიდერთან გადავამოწმეთ, „იღბლიანი“ ოთხეული ასეთი იქნება — თამაზ მეჭიაური, გია ჟორჟოლიანი, თემურ ჭკუასელი და თინა ხიდაშელი. როგორც გავარკვიეთ, ეს კანდიდატურები სწორედ პრემიერ ღარიბაშვილთან ყოფილა შეთანხმებული. თუმცა ბრძოლა სხვა ფრონტზეც მიდის — კოალიციაში მორიგი დისონანსი რესპუბლიკელებიდან და შემდეგ პარტია „ოცნებიდან“ გაგდებულმა ვიცე-სპიკერმა და ბათუმის მაჟორიტარმა მურმან დუმბაძემ შეიტანა. დუმბაძემ 21 მარტს, ნაციონალების განცხადებას, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, მხარი აუბა. ხოლო ოდნავ მოგვიანებით დასძინა, რომ მისი ინფორმაციით, მალე კოალიციის უმრავლესობა დაიშლება და იქიდან ცალკე ფრაქცია გამოიყოფა. ამის შემდეგ მურმან დუმბაძეს აღარაფერი დაუზუსტებია, არც „აჯანყებულთა“ გვარები უთქვამს, არც „აჯანყების“ დრო და მიზეზი. ექსკლუზიურ საგაზეთო ინტერვიუში, რომელიც დუმბაძემ მოგვცა, რამდენიმე დეტალი დააზუსტა და კითხვას, რა იდეის ან მიზნის გარშემო შეიძლება ახალი ფრაქცია შეიქმნას, ასე უპასუხა: **„ეს შეიძლება ნაცებისა და „ქართული ოცნების“ სიძულვილი იყოს. ერთ დღეს ეს ადამიანები ჩირგვებში აღარ ისხდებიან. მათ შეიძლება აერთიანებდეს პრინციპი, საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, მთავრობას კონტროლს პარლამენტი უწევს, მართლა ამუშავდეს. პარლამენტი მთავრობის ფილიალი არ უნდა იყოს! მთავრობის გადაყენების პროცედურას ამ დეპუტატებმა შეიძლება, მხარი არ დაუჭირონ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამ მთავრობის გადაყენება არ უნდათ, ჯერჯერობით, გამბედაობა არ ჰყოფნით. თუმცა ერთ დღეს, შეიძლება, მათაც გაბედონ“.**

დუმბაძემ კონკრეტული გვარები არ დაასახელა, მაგრამ სამაგიეროდ, ამ ახალი ფრაქციის წევრობიდან საყოველთაო ეჭვმიტანილები, ანუ ის ადამიანები გამორიცხა, ვინც კოალიციის წევრია, მაგრამ კოალიციას ხშირად აკრიტიკებს და ეწინააღმდეგება: განსხვავებულ მოსაზრებას საჯაროდ თამარ კორძაია, ომარ ნიშნიანიძე და დავით ლორთქიფანიძე აფიქსირებენ. როგორც დუმბაძე ამტკიცებს, „სწორედ ომარ ნიშნიანიძეა ,,ოცნების“ ყველაზე მაგარი მხარდამჭერი და საერთოდ, ვფიქრობ, ხალხი, ვინც ამდენს ხმამაღლა საუბრობს, რეალურად, ,,ოცნების“ წინააღმდეგ არ წავა. სწორედ ისინი წამოვლენ ,,ოცნებიდან“, ვინც ახლა ჩუმადაა“. როგორც გავარკვიეთ,

**საუბარი არა მთელ კოალიციაზე, არამედ თავად პარტია და ფრაქცია „ოცნებაზეა“ — ცოტა ხანში, პარტია „ოცნებიდან“ 20-მდე კაცი წამოვა, ეს, ერთი კი არა, სამი ახალი ფრაქციის შექმნას ეყოფა.ამ ფრაქციაში, ასევე, უპარტიო მურმან დუმბაძეც უნდა მოვიაზროთ, რომელიც საკუთარი პარტიის შექმნას 2016 წლის საპარლამენტი არჩევნებისთვის აპირებს, მანამდე კი, ალბათ, ამ ჯერ არგამოყოფილი ფრაქციის ხელმძღვანელობას შეეცდება.**

აქვე, არც კიდევ სამი უფრაქციო, დამოუკიდებელი დეპუტატი უნდა დაგვავიწყდეს — კობა დავითაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე და დავით ბეჟუაშვილი. ბეჟუაშვილი ამ ფრაქციაში არ შევა, რადგან „ოცნებასთან“ ურთიერთობები მშვენივრად აქვს დალაგებული, კობა დავითაშვილი, ზოგადად, საპარლამენტო პროცესებისთვის დიდი ხანია, პოლიტიკურად გარდაიცვალა, სამაგიეროდ, „მწვანე“ გია გაჩეჩილაძე, დღეს „ლურჯებზე“ ნაწყენია და შეიძლება, ამ ახალ ფრაქციაში ვიხილოთ. რაც უნდა ბევრი ვისაუბროთ იმ პოლიტიკურ შეხედულებებსა და საკუთარი გუნდის მიმართ პროტესტზე, რის გამოც შეიძლება ეს ადამიანები ახალ ფრაქციაში გაერთიანდნენ, მიზანი მაინც ნათელი იქნება — ნაციონალების იდეის მოწონება და მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის დაწყება. ამ გრძელ და ჩახლართულ პროცესს დასაწყებად მხოლოდ 60 კაცი სჭირდება. აქედან 50 ნაციონალია, ხოლო თუკი „ოცნებიდან“ 20 კაცი მართლა წამოვა და ამ რიცხვს 4 უფრაქციო დეპუტატსაც დავუმატებთ, 74 კაცს ვიღებთ, საიდანაც 14-ს შეუძლია, მთავრობის ე.წ. იმპიჩმენტს ხმა არც კი მისცეს. და კიდევ ერთი — გარდა უნდობლობის პროცედურის დაწყებისა, ამ ხალხს პარლამენტის დღის წესრიგის მთლიანად შეცვლა შეუძლია, რადგან 149-კაციან პარლამენტში, 74 უკვე ახალი უმრავლესობაა, ერთ დეპუტატსაც თუ დაიმატებენ. ასე რომ, თუ კომიტეტების თავმჯდომარეების კანდიდატურებსაც გადავხედავთ, იოლი გამოსაცნობია, რომ „ოცნება“ ისეთების გულისმოგებას ცდილობს, ვისგანაც გამორიცხული არაფერია.

ვერსიანიუსი

## შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციას ეწვია

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი ივანე პაპიაშვილი, ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ჩიკვაიძე და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ძაგნიძე, ოფიციალური ვიზიტით, ლიტვის რესპუბლიკის შსს-ს პოლიციას ეწვივნენ.

ოფიციალური შეხვედრების დროს ქართულ დელეგაციას ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის გენერალური კომისარი ლინას პერნავასი, მისი მოადგილე ედვარდას შილერისი, კრიმინალური პოლიციის ბიუროს უფროსი როლანდას კიშკისი, მისი მოადგილეები — ანჯეუს როგინსკისი და არტურას ბაზისი მასპინძლობდნენ.

ვიზიტის მიზანია ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის მიერ ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე გატარებული რეფორმების გამოცდილების გაზიარება, შემდგომში საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვის მიზნით, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიმართულებით საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. 2015 წლის 14 იანვრიდან ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ 2013 წლის 26 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმება. შესაბამისად, აღნიშნული ვიზიტი შეთანხმების იმპლემენტაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

*„ვერსიანიუსი“*

## პრემიერმა და მარიეტ შურმანმა უსაფრთხოების სფეროში ქალთა ჩართულობის გაზრდაზე ისაუბრეს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, მარიეტ შურმანს შეხვდა.

მხარეებმა უსაფრთხოების სფეროში ქალთა ჩართულობის გაზრდასა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს 13/25 რეზოლუციის შესრულების საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე ისაუბრეს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, კონფლიქტის აღმოფხვრის, პრევენციისა და მენეჯმენტის პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას ქალთა მონაწილეობის გაზრდას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მოიცავს. ირაკლი ღარიბაშვილმა და მარიეტ შურმანმა ძალადობის შემცირებისა და კონფლიქტის პრევენციის პროცესში ქალის როლის საკითხებიც განიხილეს.

შეხვედრისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის კოორდინაციის მექანიზმი 2014 წლის დეკემბრიდან მთავრობის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში გადავიდა. აღინიშნა, რომ გეგმის მოქმედების ვადა 2015 წელს იწურება და მისი განახლების პროცესში მთავრობის ადმინისტრაცია გაითვალისწინებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც გეგმის შესრულების შეფასების შედეგად გაიცა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად უზრუნველყოფს აღნიშნულ პროცესში სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობას.

*„პირველი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „კი ბატონო, ავიღებ ჩემს თავზე ამ დარტყმას და ცმამაღლა ვიტყვი ყველაფერს!“



## ვის უცხადებს პროტესტს და რაზე ესაუბრა ბიძინა ივანიშვილს ზაზა პაპუაშვილი

**„თუ ყველას ფეხებზე ჰკიდია, რომ სეზონნახევარია, თეატრში არ ვარ და საპირწონედ ეს ვიგინდარა დამიყენეს, მაშინ ჯერ ჩემი თავისთვის და ჩემი გაკეთებულისთვის მიმიფურთხებია. ტვინში, თითს ერთ ღილაკს დავაჭერ და მთელს მახსოვრობას წავშლი. თუ საკითხი ასე დგას, რომ თეატრში ეს ვიგინდარა უნდა იყოს და არა მე, ვინმესთან კი არ მაქვს პრეტენზია, საკუთარი თავისთვის მიმიფურთხებია და აღარც გავიხსენებ, რა პროფესიის ვარ. არავის მიმართ სიძულვილი არ მაქვს, არავის ნიჭიერაბაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ, როცა ჩემს პრინციპსა და თავმოყვარეობას შეეხება ვინმე, ჯარიც რომ დამიყენონ, მაინც ვიბრძოლებ და რომც დავმარცხდე, ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი“, — ასეთი ინტერვიუ უმრავლესობის დეპუტატს, მთაწმინდის მაჟორიტარ ზაზა პაპუაშვილს არავისთვის მიუცია. მასთან თეატრის კანონზე სასაუბროდ და იმ ბრალდებებზე პასუხის მოსასმენად მივედი, რასაც ამ კანონის გარშემო ბევრი, მათ შორის, რობერტ სტურუა, ქეთი დოლიძე, თეატრმცოდნეები უყენებდნენ. გთავაზობთ ექსკლუზიურ, ძალიან ემოციურ და ყველაზე გულახდილ ინტერვიუს მსახიობთან, რომელიც თითქმის ორი წელია, თეატრში არ შესულა.**

**— განათლების კომიტეტში ნაციონალების მიერ ინიცირებული კანონპროექტი შემოვიდა, რომელსაც უმრავლესობამ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. იგი სკოლაში იმ ბავშვების მიღებას ეხება, ვინც 1 იანვრამდე 6 წლის ხდება. თქვენ თუ ეთანხმებით ინიციატივას?**

— ამ კანონს ვეწინააღმდეგები. საკითხს ასე მივუდგეთ — მაშინ, 1 იანვარს დაბადებულმა ბავშვმა რა დააშავა? დედის უფლებას უზარმაზარ პატივს ვცემ, მაგრამ დედას და მამას როგოც უნდათ, ასე კანონს ვერ დავწერთ, რადგან, გამოჩნდებიან სხვა დედებიცა და მამებიც, ვისაც ეს არ მოეწონებათ. პედაგოგებს, ფსიქოლოგებს ვესაუბრებით, რამდენიმე დღის წინ მე-10 საჯარო სკოლის დირექტორთანაც გავიარე კონსულტაცია — დასკვნა ერთია: 5 წლის ბავშვს ხან სახლში უნდა, ხან — ძილი, ხან — საპირფარეშო, ყურადღებას სულ 15 წუთით იკრებს და მერე დედა ენატრება. ჩემი შვილები ჩემი გაზრდილები არიან, ამიტომ ეს პრობლემები კარგად ვიცი. ამ ასაკში, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, 3 და 4 თვესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც 6 წლის ხდება და სკოლაში ვერ შევა, არსებული კანონის გამო, მისთვის შესაძლოა, სპეციალური, ე.წ. წინარესასკოლო პროგრამა ამოქმედდეს ბაღებში. საუბარი არ მაქვს განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, რომელთათვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება. თუმცა ყველას თავისი შვილი ჰგონია გენიოსი.

**— ვინ უნდა დაადგინოს, რომელი ბავშვია განსაკუთრებული შესაძლებლობის?**

— არსებობს ტესტირებები, ფსიქოლოგების დასკვნები, რომლებიც კონკრეტულ ბავშვებს შეამოწმებენ და ამ დასკვნებს გასცემენ.

**— მერე ნახეთ ჩაწყობა და კორუფცია...**

— არა, ასე ვერ იქნება, სადაც კორუფციაა, იქ უკვე სხვა კანონი ამუშავდება. თან ეს ცვლილებები სხვა კანონების შეცვლასთან, ბიუჯეტთანაა დაკავშირებული. არც ის მაინტერესებს, ვის შემოაქვს კანონი — უბრალოდ, არ ვეთანხმები.

**— მაშინ თქვენმა თანაგუნდელებმა კანონს მხარი რატომ დაუჭირეს?**

— არავის ვედრები, მაგრამ ამ საკითხში კარგად ვერკვევი, კანონიც წაკითხული მაქვს, მშობლებთან, პედაგოგებთან, დირექტორებთან, მინისტრთან ვისაუბრე. ასე რომ თავის გამოსაჩენად ეს კანონი არ გამოდგება. ვფიქრობ, ეს იდეა ჩაფლავდება.

**— თეატრის შესახებ კანონზეც გკითხავთ. მგონი, ამ კანონის გატანის დროს კომიტეტშიც და თეატრალურ წრეებშიც უმცირესობაში იყავით, როგორც ნუკრი ქანთარია ამბობდა, კანონი ერთი კაცის, გია თევზაძის წინააღმდეგ დაიწერა. დაგიპირისპირდათ ქეთი დოლიძე, რობერტ სტურუა და ა.შ. ამ საკითხზე დაპირისპირება ისევ არსებობს?**

— რადგან ამ თემას შეეხეთ, სულ თავიდან უნდა დავიწყოთ. ხელოვნების ბევრ სფეროში მიდგომები, კანონები, მართვის წესი, კარგა ხანია მოძველდა. დღეს თეატრსაც აღარ ჰყავს იმ რანგის პედაგოგები, როგორიც აქამდე ჰყავდა. მენეჯმენტი, მართვის წესი შეცვლილია. დასავლეთში პროდუსერს სულ სხვა დატვირთვა აქვს, ჩვენთან კი, დღევანდელი სამხატვრო ხელმძღვანელები პატარა ფეოდალები არიან, რომლებიც თეატრში თავიანთ სამკვიდრებლებს იკეთებენ და არტისტების, დასის უფლებები ილახება. ამ კანონით კი თეატრებს თავისუფალ, კონკურენტუნარიან გარემოს ვთავაზობდით.

**— ეს ნიშნავს, რომ მსახიობი მენეჯერად უნდა იქცეს? ასეთი იყო მოწინააღმდეგეთა არგუმენტი.**

— არა, აგიხსნით: ამ კანონზე მუშაობა რუსთაველის თეატრში მომხდარმა ამბებმა გამოიწვია, სადაც ხელისფლებამ სამხატვრო ხელმძღვანელი მოხსნა. ამ დროს დასს არანაირი დამცავი მექანიზმი არ გააჩნდა, ვერც იურიდიულად დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან, ვერც სასამართლოში მივიდოდა. ამ კანონში კი ვეცადეთ, ეს ყველაფერი კარგად დაგველაგებინა. ყველას შევთავაზე, იდეებზე, შინაარსზე გვეკამათა, დეტალები ერთად მოგვეფიქრებინა, მაგრამ ამათ კამათი და მუშაობა კი არ უნდათ, საკუთარი ტყავი ადარდებთ. არ სურთ კონკურენტუნარიანი გარემო, რადგან მათ აღარავინ დაუძახებს.

**— ამას ვისზე ამბობთ, მაგალითად, რობერტ სტურუაზე?**

— არა, მასზე, ვისაც ეკუთვნის! კონკურენტუნარიანი გარემოა საჭირო, რათა ვითარება არ ჩამყაყდეს.

**თუკი პრეზიდენტს, მერებს, დეპუტატებს ვირჩევთ, რატომ არ შეიძლება, სამხატვრო ხელმძღვანელიც ავირჩიოთ და დასი ამ პროცესის თანამონაწილე გახდეს?! ეს კანონი სამხატვრო ხელმძღვანელის, დირექტორისა და დასის უფლება-მოვალეობებს არეგულირებს, რაც დღეს არსადაა გაწერილი. ზოგიერთ რეჟისორს „ხოში“ თუ აქვს, კრებას ატარებს, თუ არადა — არა. არ ვიცით, რა ხდება ფინანსებში, დასმა არ იცის თეატრის გეგმა. დღეს თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების სახანოები, საამპარტავნოებია და ყველაფერი მათი სურვილებით წყდება. ამ კანონში ეროვნული თეატრის იდეაც შემოგვქონდა — როგორ უნდა იმართებოდეს ეროვნული თეატრი და ეს რანგირება პრემიერ-მინისტრის დონემდე ავწიეთ. შესაძლოა, სამხატვრო საბჭოში საზოგადოების ორი წარმომადგენელი პრემიერმა მოავლინოს, ორი — კულტურის მინისტრმა, დასის 5 წევრი იყოს და ა.შ.**

ასევე, ძველი კანონით, სარეკომენდაციო საბჭო მოქმედებდა, მის გასაუქმებლად ქანთარიას ვეწინააღმდეგებოდი. ჩემი უზარმაზარი შეცდომაა, რომ კოპრომისზე წავედი, ამ ახალი კანონის დამტკიცების იმედით. ამ საბჭოში თეატრმცოდნეები შედიან, რომლებიც სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევისას პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. არადა, თეატრმცოდნემ დასის ხელმძღვანელის არჩევაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს! აქ კი მართლა შეიძლება გაჩნდეს კორუფციული მომენტები. მერე პატარა-პატარა თავკომბალა ლობისტებიც გაჩნდებიან. ამრიგად, ძველი კანონით ბათუმის თეატრში აბსოლუტური შეუსაბამობა მივიღეთ — სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა ადამიანი, რომელსაც შესაბამისი არც ცენზი ჰქონდა, არც განათლება.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# „კი ბატონო, ავიღებ ჩემს თავზე ამ დარტყმას და ხმამაღლა ვიტყვი ყველაფერს!“

*მე-5 გვერდიდან*

**— ბუნებრივია, კანონი არ მოეწონება არც ერთ სამხატვრო ხელმღვანელს, არც მათ მხარდამჭერ ჯგუფებს დასებში, თეატრმცოდნეებს, მაგრამ კომიტეტში რატომ არ მოიწონეს?**

— კომიტეტში მხარი ყველამ დამიჭირა, წინააღმდეგი მარტო ერთი კაცი იყო — ნუკრი ქანთარია და ამის ჩანაწერიც არსებობს.

**— აბა, კანონი რატომ ვერ გავიდა?**

— ესაა საქმე: ტელევიზიებით გადმოიცა, თითქოს კანონ-პროექტი ჩავარდა, ამ დროს, პირველი მოსმენით გავიდა და საკომიტეტო მოსმენებიც გავლილია.

**— ანუ ახლა ადგილზე გაიყინა?**

— მისი დაძვრა ჩემზეა დამოკიდებული. შემიძლია, კანონი გამოვიწვიო, ვისაც ამის არ ეშინია, მასთან ერთად გარკვეული კორექტივების შეტანაზე ვიმსჯელო და ისევ შევიტანო პარლამენტში. ახლა ის უფრო მაღელვებს, რომ დღეს ამ კანონისთვის მზად არ არიან და ძველი ინერცია ღუპავს თეატრს. შესაძლოა, ახლა ხმამაღალ განცხადებებს ვაკეთებ, მაგრამ ასეა! რაც შეხება ქანთარიას, მასთან ჩვეულებრივი, ადამიანური საუბარი, კამათი მქონდა, არ მინდოდა, ეს ჩვენს გარეთ გასულიყო, მაგრამ ურთიერთობა ზღვარს გასცდა — ქანთარიამ ჩათვალა, რომ მარტო მას უნდა ჰკითხონ თეატრთან დაკავშირებული საკითხები.

**— მან ჩათვალა, რომ თქვენ რუსთაველის თეატრის დირექტორს, თევზაძეს უპირისპირდებით.**

— საუბრის ჭორებზე აგება არ შემიძლია — ვისთან რა დაპირისპირება მაქვს, ეს არც ნუკრი ქანთარიას განსახილველია და მით უმეტეს, არც ქეთი დოლიძის, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არაფერი აღელვებს. ახლა სტურუასთან დაპირისპირებას რაც შეეხება, ამაზეც გიამბობთ.

**— ცნობილი ღია წერილი პრემიერ ღარიბაშვილს სტურუაზე მიწერეთ?**

— გეტყვით, როგორ იყო: როცა სტურუა თეატრიდან გაათავისუფლეს, ეს პირადად ჩემთვის და ბევრი ადამიანისთვისაც დიდი დარტყმა და შეურაცხყოფა იყო. ჩავთვალე, რომ გაჩუმება არ შეიძლებოდა. პროტესტის გამოხატვა მუნდირის, ღირსების დაცვა, ვალდებულებაა! დიდი რა უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ფაქტი უნდა გაგვეპროტესტებინა, იმის მიუხედავად, რომ მაშინ პოლიტიკური ვითარება ძალიან დაძაბული იყო და ზოგს ცალი თვალი ძველი მთავრობისკენ ჰქონდა, ზოგმა ინანა-კიდეც, ხელი რაღაცაზე რომ მოაწერა. მოკლედ, იმ დროს ეს აქციები ცოტა სარისკო საქმე იყო, მე კი, უნებურად, ამ საქმის სათავეში მოვექეცი, უამრავი ადამიანი ამყვა და ჩვენმა აქციებმა რუსთაველის თეატრთან მხატვრული სახეც მიიღო. მაშინდელი დირექტორი, ზალიკო ჩიქობავა არ შეგვეწინააღმდეგა, როცა 7-კაციანი სამხატვრო საბჭო შევქმენით. ამ საბჭოს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — როგორმე, თეატრი გარე შემოტევებისგან უნდა დაგვეცვა და ერთი წელი მაინც ისე გაგვეძლო სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე, რომ მსახიობებიც არ ყოფილიყვნენ უმუშევრად.

> **მანამდე, 17 წელი გია თევზაძე იყო თეატრის დირექტორი. მასზე მე ნუ მალაპარაკებთ — რაც მას აქვს ნაკეთები... მეტად, ჯერჯერობით, საქმეს არ გავართულებ. ზოგიერთს, ამ მოჩვენებითი სიმშვიდის გამო ჰგონია, რომ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ყველაფერი დასრულდა. არადა, ვითარება ჯერ კიდევ ბომბის ქვეშ დევს! სეზონნახევარია, თეატრში არ შევსულვარ, ერთადერთხელ ამოვიღე ხმა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირე და ვთქვი, რომ ამ ვერაგობას, უსუგულობასა და თავხედობას ვერ ავიტან, ამ საქმეს სულ რომ შევეწირო! თეატრში ჩემი ბოლო მისვლის მერე აღარ გავცვითე ეს თემა, არც ეთერი დამიკავებია, არც ჟურნალ-გაზეთები. თუ ერთ დღესაც ეს ვითარება აფეთქდა, რაღაც ისე არ წავიდა, მთავრობაცა და თეატრის ხელმძღვანელობაც პასუხისმგებელნი იქნებიან. თუმცა იმედია, ყველაფერი გართულების გარეშე დასრულდება.**

**— თანმიმდევრულად რომ გავყვეთ, 2012 წლის მერე, სტურუა თეატრში დაბრუნდა და თქვენს შორის დაპირისპირება გია თევზაძის გამო დაიწყო, ამიტომ აღარ დადიხართ თეატრში?**

— 2012 წელს ყველაფერი კარგად და გემრიელად დასრულდა. თეატრში სტურუა დაბრუნდა და უცებ, ხმა დაირხა, რომ მას ისევ გია თევზაძე მოჰყავს დირექტორად. ეს კი ყველასთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო და ხაზგასმით ვამბობ, ეს ზაზა პაპუაშვილის ახირება არ გახლდათ!

**— დასი რას ფიქრობდა ამაზე და ახლა რა ვითარებაა თეატრში?**

— დასის უმრავლესობის უმრავლესობა იმას იზიარებ, რასაც ვამბობ. ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთ, არც არავიზე ვარ ნაწყენი, ვიღაც რაღაცას ხმამაღლა ვერ ამბობს, მაგრამ ყველა ჩემნაირად ფიქრობს.

> **კი ბატონო, ავიღებ ჩემს თავზე ამ დარტყმას და ხმამაღლა ვიტყვი ყველაფერს! სტურუასთან 4-ჯერ მივედი, ერთხელ აქ, ჩემს ოფისშიც მოვიდა. მანამდე აქ გია თევზაძე იყო, კაცი, რომელსაც ხელოვნებასთან და მენეჯერობასთან საერთო არაფერი აქვს, კაცი, რომლისთვისაც თეატრი მხოლოდ სახრავია!**

ამ კაცმა ვერც თვალის ჩაკვრა გაიგო, ვერც ტკბილი სიტყვა და ვერც პირში სიმართლის თქმა. ეს მხოლოდ დღევანდელი პრობლემა არაა, სულ ამაზეა ჩხუბი, 90-იანი წლებიდან, როცა ამ ერთი კაცის გამო არაერთი დაპირისპირება ხდებოდა. ჩემთან მსახიობები მოდიოდნდენ, მირეკავდნენ, როცა ქუთაისში ვიყავი და მეუბნებოდნენ, ისევ ეს კაცი მოჰყავს თეატრში სტურუას და გვიშველე რამეო.

მივედი სტურუასთან და პატიოსნად ვეუბნები — ამ კაცის თეატრში მოყვანას აპირებ-მეთქი?! არაო. სტურუას მიმართ ჩემი უმორჩილესი თხოვნა-მუდარა იყო, ნუ გააკეთებ ამასმეთქი. არც ვაპირებ, რაღაც თეატრს ვაკეთებ, „კალას“ და იქ მიმყავსო. მივიღე პასუხი და მსახიობებს ვეუბნები, არ მოჰყავს-მეთქი. ცოტა ხანში, მსახიობები ისევ მოვიდნენ, მაინც თევზაძე ინიშნებაო.მეორედ მივედი სტურუასთან, რა ხდებამეთქი და მითხრა, არაფერი შეცვლილაო. შემდეგ მირეკავს თევზაძე, მოდის ჩემთან ოფისში და მეუბნება, წინააღმდეგი იქნები, თეატრში დირექტორად კი არა, მხოლოდ ფინანსურ დირექტორად რომ მივიდეო! ზუსტად ამას ედავებოდა მთელი თეატრი, კაცმა ვირთხულად ღრღნა მთელი სალარო და ახლა ისევ იქ სურს დაბრუნება! არც გაიფიქრო, სტურუას თავზე არასოდეს გადავხტომივარ, მაგრამ შენი მოსვლა თეატრში არ შეიძლება-მეთქი. ეს კაცი ადგა და ალბათ, თეატრში ამბავი მიიტანა, ზაზა თანახმააო. ასეთი რამ არსად არასოდეს მითქვამს, არავისთვის მიამბია! გია თევზაძე მაინც დაინიშნა. თავისი მანერით — სტურუა მიდის მოსკოვში და უცებ, შიდა ბრძანებით, ინიშნება გია თევზაძე. გადამეკეტა გონება, თეატრში მივედი და ვინ სად გარბოდა, კაცმა არ იცის. ერთი ფიზიკურად არ შევეხე, თორემ რასაც მასზე ვფიქრობდი, ყველაფერი პირში ვუთხარი. ამის მერე, ისევ სტურუას ვეკითხები, ეს რატომ გააკეთე, ჩვენი აზრი რატომ არ გაითვალისწინე-მეთქი, ბოდიში მოიხადა, ეს ვითარება გამოსწორდებაო და წავიდა.

**— ბატონმა სტურუამ, მოგვიანებით, მედიასათანაც დაადასტურა, თევზაძის გაშვება მომიწევსო და რატომ არ გაუშვა ან ყველგან თან რატომ დაატარებს?**

— არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. ფაქტია, ეს კაცი ისევ თეატრშია, მე კი უკვე მეორე სეზონი სრულდება, თეატრში არ მივსულვარ — პროტესტი გამოვაცხადე და კაციშვილი ყურს არ იბარტყუნებს.

> **თუ ჰგონიათ, ამ ბრძოლას იოლად დავთმობ, ძალიან შემცდარან. ასეთ ვერაგულ ტყუილსა და შეურაცხყოფას ვერავის ვაპატიებ! ამ ყველაფრის მერე თეატრში რაღაც გაუგებარი კრება მომიწყვეს, მთელ კოლექტივთან ერთად, რომლის ჩანაწერიც ასევე არსებობს. რაღაც წაიბურდღუნეს, მერე მე ავიღე მიკროფონი, რაც სათქმელი მქონდა, ვთქვი და დავამთავრე. ამის მერე თეატრში უცვლელი ვითარებაა. რაც შეეხება წერილებს, მე ის მარტო პრემიერს კი არა, ვიცე-პრემიერებსა და მინისტრსაც მივწერე.**

**— პრემიერს რუსთაველის თეატრში გამეფებულ განუკითხაობაზე წერდით, ქეთი დოლიძემ კი ეს პირდაპირ სტურუაზე თავდასხმად აღიქვა. მართლა ასე იყო და რამე გამოხმაურება მოჰყვა ამ წერილებს?**

— მე არ ვიცი, ქეთი დოლიძესა და სტურუას როგორ უყვართ ერთმანეთი!? თუმცა ეს სხვა თემაა, არავის აქვს უფლება, სხვის საქმეში ჩაერჭოს და სხვისი საქმეები განიხილოს. სახარებაში წერია, მეგობარს სათქმელი პირში უთხარი და ისე ამხილეო, თუ ვერ გაიგებს, მეგობართან ერთად უთხარი, მერე ისევ მეგობართან და ბოლოს, კრებულთან ერთადო. ყველა ეს საფეხური გავიარე. ამ თემაზე მის მეგობარ გია ყანჩელსაც ვესაუბრე, გოგი მესხიშვილსაც და ყველას ვთხოვე, ეს პრობლემა მოეგვარებინა. ჩემი აზრი დამალული არავისთვისაა, ყველაფერი პირში მაქვს ნათქვამი, ზურგსუკან საუბარი და მიპარვა არ შემიძლია. აბა, ვინმემ გაბედოს და თქვას, რომ ასე არ ყოფილა.

> **ამას ახლა პირველად ვამბობ — საქმე ისე მწიფდებოდა, ჩემი მეგობრების უზარმაზარი დამსახურებაა, რომ თეატრში ემოციურ ფონზე არ მივედი და როგორც ვაპირებდი, ისე არ მოვიქეცი. ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილსაც ვესაუბრე — აბა, ერთი ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეთ, ვინაა ეს თევზაძე. ეს გულისტკენა არ მეკუთვნოდა. რუსთაველზე ვეღარ დავდივარ და თუ დავდივარ, თეატრისკენ არ ვიყურები, გესმით, ეს ჩემთვის რას ნიშნავს?!**

ბევრი ვიფიქრე, რას იტყიან: დეპუტატი, თავის მაჟორიტარულ რაიონში, თავის თეატრში მივარდა, იჩხუბა, ფიზიკური დაპირისპირება მოაწყოო და ა.შ. ამას დიდი ამბები მოყვებოდა, სეირისმოყვარულთა გნიასი უკვე ყურში ჩამესმის. ამიტომ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, სტატუსი იმის საშუალებას გაძლევს, კანონიერ გზას დაადგე და ის არ გააკეთო, რაც ჩაიფიქრეო, ამიტომ მივწერე პრემიერს ოფიციალურად, პარლამენტის წევრის ბლანკიან ფურცელზე, ხელი მოვაწერე, ყველაფერს ოფიციალური სახე მივეცი და ანონიმურად არაფერი გამიკეთებია. ეს დოკუმენტი იმისთვისაა, მერე ვიღაცამ რომ არ თქვას, ჩემთვის არ მოგიმართავს, ძმაო და მე რა ვქნაო. ღარიბაშვილს პირადადაც ვესაუბრე — იგი ჩემი გუნდის ლიდერია და საქმის კურსში ჩავაყენე. ფარულად არაფერი გამიკეთებია — მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ხმამაღლა ვამბობ.

> **თუ ყველას ფეხებზე ჰკიდია, რომ სეზონნახევარია, თეატრში არ ვარ და საპირწონედ ეს ვიგინდარა დამიყენეს, მაშინ ჯერ ჩემი თავისთვის და ჩემი გაკეთებულისთვის მიმიფურთხებია. ერთ ღილაკს დავაჭერ ტვინში თითს და მთელს მახსოვრობას წავშლი. თუ საკითხი ასე დგას, რომ თეატრში ეს ვიგინდარა უნდა იყოს და არა მე, ვინმესთან კი არ მაქვს პრეტენზია, საკუთარი თავისთვის მიმიფურთხებია და აღარც გავიხსენებ, რა პროფესიის ვარ. არავის მიმართ სიძულვილი არ მაქვს, არავის ნიჭიერაბაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ როცა ჩემს პრინციპსა და თავმოყვარეობას შეეხება ვინმე, ჯარიც რომ დამიყენონ, მაინც ვიბრძოლებ და რომც დავმარცხდე, ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი.**

აი, ესაა ამ ამბის თავი და ბოლო და სწორედ ამას მიაბეს მერე ეს კანონი, თითქოს იგი ერთი კაცის ჯიბრზე დავწერე. ჭორიკნების გასაგონად ვამბობ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება და ყველამ თავის დავთარს ჩახედოს.

**— და თუ არაფერი შეიცვალა, რა იქნება მაშინ?**

— ჩიხი არ არსებობს! არავის არაფერს ვეხვეწები, ჩემი სტატუსიც კარგად ვიცი, არც მეტი, არც ნაკლები, მსახიობი ვარ! არც „პალაჟენიას“ ვაყენებ, უბრალოდ, ასეთი ილეთებით ჩემთან პაექრობა, უკადრისი საქციელი მგონია. ვფიქრობ, წესიერ ხალხს ფიქრისთვის, სეზონნახევარი კი უნდა ეყოს...

# ბესო ხარძიანის ციხეში ყოფნის უცნობი დეტალები

## როგორ მოაწყო დადო ბედუკაძემ ციხეში მეგობრების კონსპირაციული შეხვედრა და რა გაუმხიდა ბიზნესმენმა პატიმარს

**პატიმარი №0578**

28 მარტს ბიზნესმენი ბესო ხარძიანი მოკლეს. მას თბილისში, საკუთარი სახლის სადარბაზოში დაუდგენელმა პირმა რამდენჯერმე ესროლა. ხარძიანს რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი, მათ შორის ფეხსა და თავში, საკონტროლო გასროლით. ექსპერტების თქმით, საქმე პროფესიონალ ქილერთან გვაქვს, რომელმაც ფეხში იმიტომ ესროლა, მსხვერპლს გაქცევა ვეღარ შეძლებოდა.

ცნობილი ბიზნესმენი წინა ხელისუფლებამ დააპატიმრა და იგი ციხიდან 2012 წელს გათავისუფლდა. ალბათ მხოლოდ ოჯახის ახლობლებმა თუ იციან, რა ჯოჯოხეთი გამოიარა ხარძიანმა გლდანის ციხეში და როგორ ცდილობდნენ მის გატეხვას როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მორალურად...

„შენთან ადვოკატია, გაემზადე“, — კარმუშკიდან გამოსძახა პატიმარ №0578-ს ოფიცერმა, მეტსახელად პავლოვიჩმა. პატიმარმა ფეხსაცმელი ჩაიცვა, ბიჭებს გადაეხვია და კამერიდან გავიდა. არავინ იცოდა დააბრუნებდნენ თუ არა ადვოკატთან, მღვდელთან ან, უბრალოდ, პაემანზე დაძახებულ პატიმარს უკან საკანში. არც ის იცოდა ვინმემ, მართლა ადვოკატი ეძახდა თუ დასაკითხად ან საწამებლად გაჰყავდათ, ამიტომ კამერიდან ყოველი გასვლა ნერვების თამაში იყო, უკან დაბრუნება კი — ზეიმი. ასე თუ ისე, პატიმრები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ჩაკეტილი ჰყავდათ, ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, მეგობრობდნენ და ერთმანეთის ტკივილი სტკიოდათ.

№0578 ადმინისტრაციის კორპუსში მალე გადაიყვანეს. მართლა ადვოკატი ელოდა. პატიმარი შესასვლელ კართან ზურგით იჯდა, ადვოკატი კი ღია კარს უყურებდა, საუბრობდნენ და თან ადვოკატი კარის წინ ჩავლილ პატიმრებს ათვალიერებდა.

„ვახ, ბესო... რა უქნიათ ამ არაკაცებს, ნახე, რას ჰგავს“ — მოულოდნელად თქვა ადვოკატმა და №0578-მა მაშინვე მიიხედა, თუმცა თვალი ველარავის მოჰკრა.

„ვინ ბესო, რა ბესო?!“ — გაიოცა პატიმარმა.

„ბესო ხარძიანი. კუს ტბის მფლობელი. მაგან ჩაიარა ახლა, მაგარი გამხდარია. მაგასთან ვმუშაობდი ერთი პერიოდი, მაგარი კაცია“, — თქვა ადვოკატმა.

„ბესოს მეც ვიცნობ. თან ძალიან კარგად. ამიტომ, აქედან რომ გახვალ, გაიგე, ვინ არის მაგის ადვოკატი, ერთად შემოდით და ეგებ როგორმე ერთ ოთახში მოვხვდეთ. მოვიკითხავ მაინც“, — უთხრა №0578-მა და კამერაში მალევე დაბრუნდა.

სამი დღის შემდეგ №0578-ს ისევ ადვოკატთან დაუძახეს.

„არ გამოვა ბესოს ნახვა, მაგის ადვოკატს ველაპარაკე და გამორიცხულია, ერთ ოთახში დაგვსვანო. უფრო რეალურია, მოძღვარი მოვიდეს და ორივე გაგიყვანოთ. ეგ უფრო შეიძლება. მოყვანილი გვყავს მღვდელი და ვნახოთ, როგორ იქნება. ორი მამაოა, ორივე ერთად იქნება და ეგებ, გამოვიდეს“, — უთხრა ადვოკატმა და გავიდა.

№0578 საკანში დააბრუნეს, თუმცა ზუსტად 15 წუთში კამერიდან ისევ გამოიყვანეს, მამაო გეძახისო. ოთახში ორი მღვდელი იჯდა, ერთს წინ პატიმარი ეჯდა და როგორც კი №0578-მა სილუეტს თვალი მოჰკრა, მაშინვე იფიქრა, ეს ბესო არ არისო, თუმცა სახეზე რომ შეხედა...

„რა გჭირს, ბესო?!“ — გაოცებულმა ჰკითხა.

„ჩემს წინ დაჯექი, მე მიყურე და ისე ილაპარაკეთ, თითქოს ჩვენ გვესაუბრებით, თორემ ორივეს კარცერში გაგისვრიან“, — ღიმილით უთხრა მამამ და №0578-იც მის წინ დაჯდა.

„მესამე კვირაა, კარანტინში ვყავარ. კარანტინი შენც იცი, რა არის, 12 კვადრატული მეტრი და 30 კაცი მინიმუმ. არ ავყავარ კორპუსზე. რა არ ვცადე, ვისთვის არ ვათქმევინე, არაფერი გამოვიდა. ფსიქოლოგიურად მამუშავებენ. ტბა წაიღეს, ყველაფერი წაიღეს, ახლა ქეში გადაიხადეო, მეუბნებიან. არ მაქვს ეს დედააფეთქებული ქეში და რა გადავიხადო... შვილები გავხიზნე ევროპაში და ამათი დედაც ვატირე, რაც უნდათ, ის უქნიათ. სამი კვირაა ლუკმა არ ჩამიდია პირში. როგორ ვჭამო იმ სუნსა და სიბინძურეში? სამჯერ დაშალეს კარანტინი, სამჯერ მაყურებინეს პატიმრების ცემა-გვემა. დავიღალე! აქედან გავიდე და ყველაფერი წაიღონ, კი აქვთ ისედაც წაღებული“, — ბესო აშკარად ცუდ დღეში იყო.

„მომისმინე, მე ლადოს ვნახავ, ბედუკაძეს, შევეცდები, რაღაცები მოგაწოდო, თუ ლადო მოიტანს, თამამად გამოართვი, დანარჩენებს არ ენდო“, — უთხრა №0578-მა და ოფიცრებმაც დაიძახეს, დრო გავიდა, კამერებში დაბრუნდითო.

საკანში დაბრუნებულმა №0578-მა თავის მეგობარს უთხრა, ლადო გვჭირდებაო. ლევანი ლადოს დიდი ხანია იცნობდა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ბედუკაძე მეორე დღეს იყო მორიგე, საკანში მივიდა, ბიჭებს მოუსმინა.

„არ არის იოლი. ლუპით უყურებენ ბესოს, შევეცდები, რამე მივაწოდო“, — დაპირდა ლადო.

„თუ იმდენს მოახერხებ, რომ ამ საღამოს საკნიდან გამიყვან და ბესოს პირისპირ მანახებ, სულ რამდენიმე წუთით მაინც, კარგი იქნება. ეგებ აზრზე მოვიყვანო ცოტა, ძალიან მოტეხილია“, — სთხოვა №0578-მა.

საღამოს №0578-ის საკნის კარი ხმაურით გაიღო. ბედუკაძე შემოვიდა, პატიმრებს გადახედა, მერე №0578-ს უთხრა, შენ გამომყევი, შენი ცემის ხასიათზე ვარო და ისიც „წელმოწყვეტილი“ გაჰყვა.

კარანტინის გვერდით არსებულ ფუქსებში №0578-ს ბესო ელოდა. ლადომ ჩუმად თქვა, სულ 10 წუთი გაქვთო და პატიმრებმაც თავი დაუქნიეს.

„მე როგორც ვიცი, ბევრი გყავს ამ ხელისუფლებაში ნაცნობი და მეგობარი. შეაწუხე, რაც წაგართვეს, შეირგონ და ეგებ გაძვრე. ახლა ამხელა მაყუთი და კიდევ სროკი, მაგრად ტეხავს“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„გახსოვს, ბუში რომ ჩამოვიდა საქართველოში?! მაშინ ვანომ დამირეკა, მერაბიშვილმა, მიშამ და ბუშმა მაგიდის ჩოგბურთი უნდა ითამაშონო და კონკრეტული ფირმის ჩოგნების ყიდვა მთხოვა. საქართველოში ვერ ვიშოვე, გერმანიიდან ჩამოვატანინე და 12 ათასი ევრო დამიჯდა. როგორც შენ არ გითამაშია ჩოგბურთი, ისე მაგათ. მერე იყო კიდევ რამდენიმე შემთხვევა, ვანოს დასჭირდა რაღაცები და გავაკეთე, მაგრამ არა, ვერ გაძღნენ და აქ ვარ ახლა. ვანოს შევუთვალე, მიშვილე-მეთქი და ბესო ხარძიანს საერთოდ არ ვიცნობო, ასეთი პასუხი დამიბრუნა. და ვის ვუთხრა სხვას, ვანომ თქვა უარი, გამოდის, ბოლომდე მწირავენ. მთავარი ახლა ოჯახია და კიდევ ის, რომ ცოცხალი დავრჩე. ხომ ხედავ, რა სუნი მიდის, იმ ჯოჯოხეთში ვარ. ყოველდღე მოდიან ჩემები და ყოველდღე ახალი ტანსაცმელი მოაქვთ გამოსაცვლელი, მაგრამ ერთ საათში მაინც ასე ვარ“, — უხერხულად შეიშმუშნა ბესო.

„სუნს ჩივი, კაცო, ნუ გადამრიე. მთავარია, გადავრჩეთ. მთავარია, აქედან ცოცხლები და კარგ მატორზე გავიდეთ და გარეთ კი მივხედავთ, ვინც მისახედია“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„ჰო, ოჯახი და საკუთარი თავი. ეგ არის რაც შემრჩა და მთავარია, ვიცოცხლოთ“, — დაეთანხმა ბესო და ლადომაც შემოიხედა, საკმარისია, მეც ჩემი ვალდებულება მაქვსო.

ამის შემდეგ №0578-სა და ბესოს ერთმანეთი აღარ უნახავთ. თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ შეხვდნენ შემთხვევით გასვენებაში. ღიმილით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

„როგორ ხარ, ბესო?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„გადასარევად. წართმეულს ვიბრუნებ. მეუბნებიან, გაჩერდი, დაგბრიდავთო, მაგრამ ახლაც თუ გავჩერდი, აღარ ყოფილა საშველი. ბედუკაძე ხომ არ გინახავს გამოსვლის შემდეგ?! მადლობაც ვერ ვუთხარი წესიერად მაგ კაცს“, — ჩუმად თქვა ბესომ.

„კი, შემხვდა ერთხელ. მე ვუთხარი ორივეს მაგივრად მადლობა“, — გაეღიმა №0578-ს.

„კარგი, აბა. ტბას რომ დავიბრუნებ, ავიდეთ და ერთად ვიცურაოთ“, — ღიმილით დაემშვიდობა ბესო.

* * *

28 მარტს თბილისში, ბიზნესმენი ბესო ხარძიანი მოკლეს...

ვერსიანიუსი

## შსს-მ უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღო და უკანონო სახერხი საამქროები დალუქა



შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე 16 პირი: 1978 წელს დაბადებული გია პ, 1986 წელს დაბადებული მალხაზ მ, 1977 წელს დაბადებული გერასიმე კ, 1955 წელს დაბადებული თამაზ ი, 1961 წელს დაბადებული დავით მ, 1961 წელს დაბადებული ოთარ მ, 1963 წელს დაბადებული ამირან შ, 1964 წელს დაბადებული ემზარ ხ, 1982 წელს დაბადებული ლავრენტი ტ, 1985 წელს დაბადებული რევაზ ტ, 1988 წელს დაბადებული დავით დ, 1978 წელს დაბადებული გია პ, 1968 წელს დაბადებული გიორგი ლ, 1974 წელს დაბადებული ვახტანგ თ, 1985 წელს დაბადებული თამარ ვ, 1986 წელს დაბადებული ნიკოლოზ ჩ. ამხილეს.

სამართალდამცველებმა ადიგენში, ახალციხესა და ბორჯომში უკანონოდ მოჭრილი, სარეალიზაციოდ გამზადებული 65 კუბური მეტრი სამასალე მერქანი ამოიღეს და 11 უკანონო სახერხი საამქრო დალუქეს.

გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ომარ ბ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით მარნეულის რაიონის სოფელ კირაჩმუღანლოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 4 აბი ტრამადოლი და 11 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 0,3689 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებისას ომარ ბ. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული მამუკა ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონო შემოტანის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 16 შეკვრად დაფასოებული 25,95 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 6,496 გრ ჰეროინს შეიცავს. მამუკა ბ-ს ნარკოტიკი ჯინსის შარვლებში ჩაკერებული სპეციალური სამალავებით უკანონოდ გადაჰქონდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262 -ე მუხლის 4-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.)

*„ვერსიანიუსი“*

# ვინ აკონტროლებს და რატომ ითხოვენ ექსპერტები ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლის პარალელურად, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, იპოთეკარების აქცია მიმდინარეობდა. ისინი პრეზიდენტთან შეხვედრას, სესხების გადავადებასა და გამოსახლების პროცესის შეჩერებას ითხოვდნენ; სპეციალური ფონდის შექმნის ინიციატივითაც გამოვიდნენ. მათი თქმით, ფონდში ის თანხები უნდა შევიდეს, რომლებსაც გამსესხებლები ბიუჯეტს უმალავენ. იპოთეკარების განცხადებით, ეს ფული დაზარალებულებს უნდა მოხმარდეს. აქციის კვალდაკვალ, „ვერსია“ დაინტერესდა, ვინ არიან გამსესხებლები, რომლებმაც, იპოთეკარების გარდა, საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილიც დააზარალეს, რომლებიც ონლაინ-სესხებს სწრაფად, მარტივად და სახლიდან გაუსვლელად იღებენ. გაირკვა, რომ ონლაინსესხების ბაზარი საქართველოში სრულიად უკონტროლოა, რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომლებსაც შესაბამისი კანონი არეგულირებს, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებს არავინ აკონტროლებს, რაც ნიშნავს, რომ ისინი ამ ბაზარზე სრულიად უკანონოდ მოქმედებენ.**

## რისკები ონლაინსესხების ბაზარზე

სტატისტიკით, 2014 წელს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოგება 80 მილიონი ლარი იყო. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ 15 წუთში, სახლიდან გაუსვლელად, სწრაფად და მარტივად დამტკიცებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 800%-მდეც კი აღწევს, რაც კომერციულ ბანკებთან შედარებით ბევრად მეტია. არადა, ხშირი სატელევიზიო რეკლამებიდანაც აშკარაა, რომ მიკროსაფინანსო და ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციები, კომერციულ ბანკებთან შედარებით, მომგებიან მდგომარეობაში არიან. მომხმარებელს ურჩევნია, სასურველი თანხა მინიმუმ 10-15 წუთში მიიღოს, თანაც სახლიდან გაუსვლელად და რაც მთავარია, ზედმეტი დოკუმენტების გარეშე.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 70 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 17 საკრედიტო კავშირია. რამდენიმე ათეული საფინანსო ორგანიზაციაც ფიქსირდება, რომლებიც ონლაინსესხებს გასცემენ, მაგრამ მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია. 2014 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივები 1 107 000 000 ლარს შეადგენდა, ხოლო მათი მოგება 80 000 000 იყო. ჯამში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 852 000 000 ლარი აქვთ გასესხებული. ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო სესხებზე მოდის, რაც 427 000 000 ლარია, ამის შემდეგაა სოფლის მეურნეობა — 187 000 000-ით და ვაჭრობა — 170 000 000 ლარით.

მოკლევადიან და მცირე სესხებს ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციები, უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე გასცემენ, თუმცა ამის მიუხედავად, გადაუხდელობის შემთხვევაში, ქონებას მაინც აყადაღებენ. „ბიზნესის ინფორმაციის ცენტრის“ მკვლევარების, ზურა გურგენიშვილისა და პაატა ბლიაძის კვლევა, რომელიც „ვერსიაში“ უკვე გაშუქდა, ინტერნეტკრედიტების ბაზრის მიმოხილვას ეხებოდა. კვლევის თანახმად, ბოლო დროს, ბაზარზე ინტერნეტკრედიტის ბევრი საიტი გაჩნდა. ისინი მომხმარებლებს, სახლიდან გაუსვლელად სთავაზობენ სწრაფ კრედიტს, რაც ელექტრონული მედიის საშუალებით რეკლამირდება, როგორც დაბალპროცენტიანი და მარტივად ასაღები სესხი. თუმცა მკვლევარები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ ეს სატყუარაა, რადგან ინტერნეტსესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი 800%-საც კი აღწევს.

დიდი რისკის მიუხედავად, მომხმარებლებს ურჩევნიათ, ნებისმიერი ტიპის სამომხმარებლო სესხი სწრაფად მიიღონ და ცხადია, ინტერნეტსაიტებს მიმართავენ, რაც მათ პოპულარობას უწყობს ხელს. ნებისმიერ შემთხვევაში, სპეციალისტები მომხმარებლებს ურჩევენ, კარგად გაეცნონ ამა თუ იმ ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციის პირობებს, აწონ-დაწონონ, უღირთ თუ არა სწრაფი სესხის აღება და რაც მთავარია, საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით, შეძლებენ თუ არა ამ სესხის დაფარვას მითითებულ ვადებში; თუ ონლაინსესხის აღებას მაინც გადაწყვეტთ, მოთხოვნილი თანხა, თქვენი თვიური შემოსავლის 40%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

## ონლაინსესხები — ფინანსური ნაღმი თუ სატყუარა?

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ექსპერტმა ფინანსურ საკითხებში, **ლია ელიავამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონი არსებობს, ისინი ლიცენზიებს იღებენ, საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან და მათი ზუსტი სტატისტიკაც ცნობილია. რაც შეეხება ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციებს, მათ არავინ აკონტროლებს და შესაბამისად, ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. ნებისმიერ ადამიანს, რომლის ასაკი 20-დან 65 წლამდეა, ონლაინსესხის აღება უპრობლემოდ შეუძლია. თუმცა ხომ შეიძლება, ონლაინ-სესხი 23 წლის უმუშევარმა ახალგაზრდამაც აიღოს, საინტერესოა, როგორ შეძლებს სესხის დაფარვას?

## როგორ დავიცვათ თავი სწრაფი სესხის აღებისას

**ლია ელიავა: „ონლაინგამსესხებლების საქმიანობა ნაწილობრივ ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც კრედიტორსა და მსესხებელს შორის ურთიერთობებს არეგულირებს. თუ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის ხელშეკრულება არ გაფორმებულა, აღმასრულებელი კანონიერად ვერ მოითხოვს სესხის დაბრუნებას. თუ ხელშეკრულება გაფორმებულია, მაშინ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კრედიტორს უფლება აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოითხოვოს. ხშირად, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციები სესხებს ხელშეკრულების გარეშე გასცემენ და ასეთ დროს, კერძო კოლექტორულ სააგენტოებს მიმართავენ. ეს სააგენტოები საფინანსო ინსტიტუტებს ვალების ამოღებაში ეხმარებიან და ყველაფერს აკეთებენ, რათა დავალიანება ამოიღონ, როგორც მატერიალური, ასევე ფულადი ფორმით. ონლაინ-გამსესხებლების მიერ ფულის გასესხება ხელშეკრულების გარეშე, სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან ეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობაა! ამიტომ, პირველ რიგში, ეს საკითხი ჯერ ფინანსთა სამინისტრომ უნდა შეისწავლოს, შემდგომ უკვე სამართალდამცავების რეაგირებაც აუცილებელია. ადამიანები ონლაინსესხებს ხელშეკრულების გარეშე, მარტივად იღებენ, რაც ნიშნავს, რომ ონლაინგამსესხებლები გარკვეულ შემოსავალზე აღარ იბეგრებიან და სახელმწიფოს გადასახადებს უმალავენ. ეს კიდევ ერთი, სერიოზული დანაშაულია. რაც მთავარია, მწვავედ დგას 18 წლამდე მოზარდებისთვის ონლაინ-სესხების გაცემის პრობლემაც. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მიერ, ეს პროცესი ვერ კონტროლდება და სავსებით შესაძლებელია, არასრულწლოვანი ფინანსურად დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იმის გამო, რომ არასრულწლოვანს საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია, დიდი ალბათობაა, დავალიანების გადასახდელად, მან დანაშაული შეგნებულად ჩაიდინოს. ირიბად, ეს შეიძლება იყოს კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი ფაქტორი“.**

ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციები ხელშეკრულებას არ აფორმებენ, შესაბამისად, არც საშემოსავლო გადასახადს იხდიან და გასაკვირი აღარ არის, მათი მოგება ასეთი მზარდი რომაა. რაც მთავარია, თუ რომელიმე მსესხებელი თანხას დროულად ვერ გადაიხდის, მათთვის ესეც არ არის პრობლემა. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ მსესხებლების 95%, დროულად და ვადების სრული დაცვით ისტუმრებს სესხებს და თუ ერთიორი ისეთი ადამიანი გამოჩნდება, რომელიც სესხს დროულად ვერ გადაიხდის, ამით ონლაინსაკრედიტო ორგანიზაცია არ დაზარალდება. როგორ უნდა გააკონტროლოს სახელმწიფომ ონლაინსესხების ბაზარი? როგორ უნდა დაიცვას ქვეყანამ საკუთარი მოქალაქეები, რომლებიც ისედაც მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებიდან მარტივად იღებენ სესხებს და ამით თავს საფრთხეში იგდებენ?

**ლია ელიავა: „პირველი და მთავარი რეკომენდაციაა, სახელმწიფომ ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა აკრძალოს, რადგან ცივილურ ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა არ არსებობს! ეს ორგანიზაციები მოსახლეობას ფინანსურად აზარალებენ. თუ მთავრობას არ შესწევს უნარი, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა აკრძალოს, სპეციალურ მარეგულირებელ ზომებს უნდა მიმიმართოს, მიიღოს შესაბამისი კანონი ან მათი საქმიანობა მთავრობისა თუ ფინანსთა მინისტრის დადგენილებით გააკონტროლოს. აუცილებელია, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების ბუღალტრული საქმიანობაც გაკონტროლდეს და ინტერნეტ-საქმიანობაც“.**

## როგორ ავიღოთ ონლაინსესხი მარტივად?

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია Vivus.ge, უკვე 5 წელია, საქართველოს ბაზარზე ოპერირებს, რომელიც ბიზნესასოციაციის წევრია. Vivus.ge, ჯგუფი 4Finance-ის ბრენდია და მისი მთავარი პროდუქტი ონლაინსესხებია. Vivus.ge-დან შეგიძლიათ აიღოთ ონლაინ-სესხი 50-დან 650 ლარამდე, 1-დან 30 დღემდე ვადით. სავალდებულოა, ყველა აპლიკანტი მინიმუმ 20 წლის იყოს და ამას ორგანიზაცია მკაცრად აკონტროლებს. პირველი სესხი უპროცენტოა, განმეორებით სესხზე თვიური საპროცენტო განაკვეთი 5%-დან 14%-მდეა. კომპანიაში არ მალავენ, რომ წლიური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 392%-ია. სესხის გაცემამდე, კომპანია კლიენტის საკრედიტო ისტორიასაც ამოწმებს.

ონლაინსესხის აღება მარტივი და კომფორტულია, რადგან სახლიდან გაუსვლელად, პირადი მონაცემების საფუძველზე, მინიმუმ 15 წუთში გიმტკიცდებათ სასურველი თანხა, მაგრამ სწორედ ამის გამო, შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლიც აღმოჩნდეთ. ნებისმიერი ადამიანის პირადი მონაცემები „გუგლის“ საშუალებით, ხელმისაწვდომია. დავუშვათ, თაღლითების ჯგუფმა, თქვენი პირადი მონაცემები მოიპოვა და მიკროსაფინანსო, ან თუნდაც ონლაინსესხების გამცემ ორგანიზაციაში თანხა თქვენი სახელით მიიღო. ასეთ შემთხვევაში, თქვენც და ის ორგანიზაციაც თანაბრად ზარალდებით. არსებობს თუ არა მსგავსი საფრთხე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე და დაცვის რა მექანიზმი მოქმედებს მსგავსი თაღლითობის შემთხვევაში? „ვერსია“ Vivus.ge-ს პიარისა და მარკეტინგის მენეჯერს, **გურამ ეროზიას** ესაუბრება:

**— მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სწრაფად გასცემენ სესხებს და გარკვეულწილად, ბანკების კონკურენტებიც არიან, წლიური საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია...**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბანკებს კონკურენციას უწევენ, რადგან რეალურად, სხვადასხვა სეგმენტზე ვსაუბრობთ. პირადად ჩემს მაგალითზე აგიხსნით, ბანკშიც მაქვს იპოთეკური სესხი, რომლითაც ბინა შევიძინე და პარალელურად, Vivus.ge-ს სესხითაც ვსარგებლობ, მაგალითად, მოგზაურობის დროს, როდესაც თანხა მაკლდება, ან მაშინ, როცა ხელფასამდე მჭირდება გარკვეული თანხა, რათა ბოლო ერთი კვირის მანძილზე, რომელიმე მეგობრისგან არ ვისესხო. სწრაფი სესხით მაშინაც შეგიძლიათ ისარგებლოთ, როცა თქვენთვის სასურველი ნივთის შეძენა გსურთ. ეს არის სესხი იმ ხალხისთვის, რომლებსაც თანხა სწრაფად და მარტივად სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინსესხის აღება სწრაფი, მარტივი და კომფორტულია, საპროცენტო განაკვეთიც მეტი აქვს, არ უარვყოფთ. თუმცა თუ ჩვეულებრივ საბანკო სესხსა და ონლაინსესხს შევადამებთ, ჩვენთან სესხის მიღებისას, საკომისიოს გადახდა არ გიწევთ, რაც ბანკების გარკვეული ნაწილის შემთხვევაში, მინიმუმ 50 ლარია. სესხის გაცემის საკომისიო გადასახადის ნაცვლად, პროცენტი გვაქვს. ანუ რაღაც ფორმით, საბოლოოდ, ბანკისა და მიკორსაფინანსო ორგანიზაციის ხარჯები მსესხებლისთვის ერთი და იგივეა. თუმცა, ბანკებში სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდგენა და ლოდინი უწევთ.

**— Vivus.ge-ს 1 300 000 მომხმარებელი ჰყავს. კლიენტებს შორის თუ არიან ადამიანები, ვისაც გარკვეული პრეტენზიები აქვთ თქვენს მიმართ. თქვენთან ხელშეკრულება არ ფორმდება, საინტერესოა, როგორ იზღვევთ თავს რისკებისგან?**

— სამწუხაროდ, რისკებთან დაკავშირებით, პასუხს ვერ გაგცემთ. ეს კონფიდენციალური ინფორმაცია და შიდაპოლიტიკის ნაწილია. სტატისტიკურად, ჩვენი მომხმარებლების 95% კმაყოფილია.

**— თუ კლიენტმა ვადას გადააცილა, თქვენც რისკის ქვეშ დგებით. როგორ იცავთ თავს ასეთ დროს?**

— არის შიდაპროცედურა, შიდაპოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად აზღვევს რისკებს და რომელსაც გარეკომპანიას ვერ გავანდობთ.

**— შესაძლებელია, თაღლითების ჯგუფმა ისარგებლოს სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით, მაგალითად, ყალბი პირადი ნომრებით დარეგისტრირდნენ, აიღონ სესხები და აღარ გადაიხადონ?**

— ამ მხრივ დაცულები ვართ. მსგავსი ფაქტები არ ხდება და დარწმუნებული ვარ, არც მოხდება. არ ვიცი, ამ საკითხს სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები როგორ არეგულირებენ. ჩვენთან, პირადი მონაცემების შევსების გარდა, ადამიანმა, თავისი პირადი ანგარიშის ნომრიდან სიმბოლური თანხა — 1 თეთრიც უნდა გადმორიცხოს, რომელსაც საპასუხოდ დავუბრუნებთ. თქვენ რომ ჩემი სახელით გინდოდეთ სესხის გამოტანა, რომელსაც პირობითად, თქვენს პირად ანგარიშზე დაისვამთ, არაფერი გამოგივათ, რადგან თუ ჩემს სახელზეა სესხი, ჩემივე ანგარიშიდან უნდა გადმოვრიცხო 1 თეთრი. ვინმემ თქვენი ანგარიშის ნომერიც რომ გაიგოს, საკმარისი მაინც არ არის, რადგან სესხის დასამტკიცებლად, ამ ანგარიშიდან სიმბოლური თანხას, ანგარიშის მფლობელის გარდა, სხვა, თუნდაც გაყალბებული პირადი ნომრის საფუძველზე, ვერ გადარიცხავს. ანუ, ამ მხრივ, ყველაფერი დაცულია და პრობლემები არ არის. ასე ჩვენს ორგანიზაციასაც ვიცავთ და კლიენტებსაც, რადგან არ გვინდა, მათი სახელით სხვებმა ისარგებლონ.

# „მინდა, პრემიერ მინისტრს ვკითხო, რისთვის უხდის მადლობას ჩოხატაურის ხელისუფლებას?“

## ჩოხატაურის გამგებლის ყოფილი მოადგილე ადგილობრივ ხელისუფლებას ამხელს — რას პასუხობენ ირაკლი ახობაძეს მუნიციპალიტეტში

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მხარდამჭერი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი მოადგილე, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა. რა ხდება ჩოხატაურის „ოცნებაში“ და რატომ ადანაშაულებს „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ადგილობრივ ხელისუფლებას უმოქმედობაში? რა კავშირშია მომხდართან ჩოხატაურის გამგებელი და რატომაა საიდუმლო, ვინ და რატომ გასცა ავანსად კულტურის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ნახევარი მილიონი ლარი. „ვერსია“ ირაკლი ახობაძეს ესაუბრა, რომლის თქმით, ჩოხატაურში „კოალიციამ“ იმ კურსს გადაუხვია რა დაპირებებიც ხალხს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე მისცა.**

**— ბატონო ირაკლი, მოულოდნელი იყო თქვენს მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვება, რადგან ჩოხატაურში ამ ძალის გამარჯვებაში უზარმაზარი წვლილი მიგიძღვით. რატომ გადაწყვიტეთ, დატოვეთ კოალიცია და რატომ დაუპირისპირდით თანამებრძოლებს?**

— 2004 წლიდან გავწევრიანდი რესპუბლიკურ პარტიაში და ამ პერიოდიდან ვებრძოდით ნაციონალურ მოძრაობის სისტემურ რეჟიმს. სამი ჩემი მეგობარი ამ ყველაფრის გამო პოლიტპატიმრის სტატუსით დაჭერილი იყო. ეს მოწმობს, რომ აქტიურად ვიყავით ჩართული წინა ხელისუფლების შეცვლის ბრძოლაში. 2004 წლიდან ყველა საპროტესტო გამოსვლაში ვმონაწილეობდით. 2012 წელს ასევე აქტიურად ჩავებით კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. იმ პერიოდში დავინიშნე გამგებლის მოადგილედ, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბევრი რამ ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. დავიწყებ იმით, რომ საარჩევნო სიებში ჩაწერილი ჰყავდათ ნაციონალები. დღესაც, ჩოხატაურში, წამყვან პოზიციებზე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ჰყავთ დანიშნული. გამგებელს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, ეს ინფორმაცია არასწორიაო, მაგრამ გადახედეთ კადრებს და დარწმუნდებით. როცა ჩვენ ვიბრძოდით, ის ადამიანები, ვინც დღეს თანამდებობაზე დანიშნეს ჩოხატაურში, მიწისქვეშეთში იმალებოდნენ. ჩოხატაურის ამჟამინდელი გამგებელი სააკაშვილის შტაბის ხელმძღვანელი იყო. სწორედ დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლების არასწორი მუშაობის გამო დავტოვე კოალიცია.

**— უმრავლესობის ერთადერთი წევრი ხართ, ვინც თავის დროზე, ბიუჯეტის დამტკიცებაში არ მიიღო მონაწილეობა...**

— მოგახსენებთ, რატომაც — ბიუჯეტში არაფინანსური აქტივობების ზრდაში ეწერა, რომ 500 ათასი ლარით გაიზარდა ბიუჯეტის არაფინანსური აქტივობები. კულტურის სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხები იგულისხმებოდა. ვამბობდი, რომ ავანსად გაცემული თანხა არ ნიშნავს არაფინანსური აქტივობების ზრდას. მეგონა, ჩემს შენიშვნას გაითვალისწინებდნენ, თუმცა ეს საკითხი დღესაც მოუგვარებელია და არავინ იცის, სად წავიდა თანხა, რომლითაც კულტურის სახლი უნდა აშენებულიყო.

**— მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, პრემიერ-მინისტრმა მუნიციპალიტეტის გამგებლებსა და მერებთან შეხვედრაზე, ჩოხატაური წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის მოიხსენია. თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობის ირგვლივ მიმდინარე საკითხზე ინფორმაცია არ აქვს?**

— როგორც მივხვდი, პრემიერი აქცენტს აკეთებდა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისებაზე. ბიუჯეტით 2014 წელს ჩოხატაურში გათვალისწინებული იყო 1 მილიონი ლარი კულტურის სახლის მშენებლობაზე. აქედან 500 ათასი ლარი, ავანსად, გადმოირიცხა ცენტრალური ბიუჯეტიდან. მინდა პრემიერს ვკითხო, რისთვის უხდის მადლობას ჩოხატაურის ხელისუფლებას? ბიუჯეტში ისეთი ჩანაწერია, თითქოს ჩოხატაურში ნახევარი მილიონი ლარით საქმე გაკეთდა. სინამდვილეში კი, ეს თანხა ავანსადაა გაცემული. მზად ვარ, მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის ჩემი გამოცდილება გამოვიყენო და ვიმუშაო, მაგრამ ვერ ვითანამშრომლებ იმ ადამიანებთან, ვინც გაუკეთებელზე ამბობს, გაკეთებულიაო.

**— გინდათ თქვათ, რომ ჩოხატაურში ხელისუფლება ვერ მუშაობს?**

— დღეს, ჩოხატაურის ხელისუფლების წარმომადგენლების მუშაობას სამწუხაროდ დადებითად ვერ შევაფასებ.

„ვერსია“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ირაკლი კუჭავას** დაუკავშირდა, რომელმაც ირაკლი ახობაძის ბრალდებებს ამგვარად უპასუხა: **„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს კულტურის სახლის მშენებლობისთვის 2014 წელს, საწყის ეტაპზე გამოიყო 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ § წარმოადგინა სადაზღვევო კომპანია ,,არდის“ სახელმწიფო შესყიდვების საავანსო ანგარიშსწორების უპირობო საბანკო გარანტია § – ღl /14051058. 18.07.2014 წ. რომლის საფუძველზე ჩაერიცხა 500,000 (ხუთასი ათასი) ლარი, (სხვათა შორის, ამ ხელშეკრულების მომზადების დროს ირაკლი ახობაძე გამგებლის მოადგილე იყო) კომპანია §-მ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები და წარმოადგინა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების შუალედური აქტი თანხით 55554,0 (ორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) ლარი, შემდგომ ეტაპზე კომპანიამ ვერ უზრუნველყო სამუშაოების გაგრძელება და დარჩენილი თანხის ათვისება, რის შედეგადაც შეუწყდა გაფორმებული ხელშეკრულება. აუთვისებელი თანხის 444446 ,0 (ოთხას ორმოცდაოთხი ათას ოთხას ორმოცდაექვსი) ლარის დაბრუნებაზე მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სადაზღვევო კომპანია ,,არდის“ შორის კანონმდებლობის ფარგლებში მოხდა შეთანხმება. სადაზღვევო კომპანიამ წარმოადგინა თანხის დაბრუნების გეგმა-გრაფიკი. დღეს, უკვე ჩამორიცხულია 66,766 ლარი. 2015 წელს, ეტაპობრივად დაბრუნებული თანხა აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და დაბრუნებული თანხის შემდგომი ხარჯვა განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე“.**



# „მერაბ კოსტავას სახელობის თეატრის აღდგენა ღირსების საკითხია“

## რეჟისორ ზურაბ ნინუას მიმართვა ხელისუფლებას

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**„მოგმართავთ ყველას, ვინც პატრიოტია და ქვეყნის ერთგული... გვიშველეთ“, — ასე იწყება რეჟისორ ზურაბ ნინუას წერილი საზოგადოებას... საქმე თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალურ თეატრს ეხება, რომლის აღდგენასაც წლებია ყოფილი ხელმძღვანელი ამაოდ ითხოვს. ბრძოლა თეატრისთვის ზურაბ ნინუასთვის ღირსების საკითხად ქცეულა და დანებებას არ აპირებს... თუმცა აჯობებს, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.**



**„მერაბ კოსტავას სახელობის თეატრის დაარსება ჩემი შვილის, რატი ნინუას იდეა იყო... მაშინ ცხრა აპრილის ტრაგედია ახალი დატრიალებული იყო. რატი პირველ სკოლაში სწავლობდა და 13 წლის ბავშვს თეატრის შექმნის იდეაც გაუჩნდა... მოგეხსნებათ მერაბით და ზვიადით ყველა აღფრთოვანებული იყო... თეატრი კი მოგვიანებით — 1990 წელს დაარსდა, თუმცა მალევე, რამდენიმე თვეში, სერიოზული პრობლემები შეგვექმნა“,** — იხსენებს „ვერსიასთან“ საუბრისას **ზურაბ ნინუა,** რომელიც დღემდე მერაბ კოსტავას თეატრის აღსადგენად იბრძვის. პასუხი კითხვაზე — რატომ და ვინ გამოუცხადა ბრძოლა თეატრს — მარტივი სულაც არ გახლავთ... თუმცა ზურაბ ნინუა მიიჩნევს, რომ უმთავრესად, ეს იყო წითელი ინტელიგენციის ბრძოლა ეროვნულობის წინააღმდეგ: **„მერაბის დედასთან, ოლიკო დეიდასთან ხშირად დავდიოდით, მერაბი ახალი გარდაცვლილი იყო... ძალიან გაუხარდა, მისი შვილის სახელობის თეატრის შექმნას რომ ვაპირებდით, მაგრამ მალევე ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. თეატრს მტრები გამოუჩნდნენ — საკმაოდ გავლენიანი ადამიანები გვებრძოდნენ, რომელთა ვინაობის დასახელებისგან თავს ვიკავებ... რა ხალხი იყო ჩართული, რომ გაიგოთ, გაოგნდებით. თეატრის განადგურება რომ უნდოდათ, ერთი მაგალითიდანაც ჩანს — დირექტორად მსჯავრდებული დანიშნეს... მგონი, ამით ყველაფერი ნათქვამია“.** ასეთია ზურაბ ნინუას პოზიცია, რომელიც ბრძოლის მოტივს ამგვარად ხსნის — **„ეს წითელი ინტელიგენციის ბრძოლა იყო ეროვნულობის წინააღმდეგ. სწორედ ამ პერიოდში მოიშორეს ზვიადი, ატყდა და რა ატყდა... მერაბის, ზვიადის ხსენება გამორიცხული იყო, ისინი ქვეყნის მტრებად მონათლეს, ხალხს იჭერდნენ მათ ხსენებაზე... ამიტომაც დაგვდევდნენ ყველას, ვინც თეატრში ვმუშაობდით, დღე და ღამე მოსვენება არ გვქონდა. ისინის გამგებელს ყოველდღე ურეკავდნენ და აიძულებდნენ, გავეგდე, შენობის გაყიდვა უნდოდათ“.** თუმცა მაშინ ვერავინ და ვერც ზურაბ ნინუა ვერ წარმოიდგენდა, „ავტომატებით სირბილი, შენობის დაცხრილვა“, მხოლოდ დასაწყისი რომ იყო.

2001 წელს, ახალგაზრდა რატი ნინუა უნივერსიტეტში მივიდა და უცებ, იქაურობა გასროლის ხმამ გააყრუა — რატიმ თავი მოიკლა. მამა შვილის გარდაცვალებას თეატრის „კეთილისმსურველთა“ სახელს უკავშირებს და აცხადებს: **„რატი მათ მომიკლეს — სიტყვით მოკლავ თუ ტყვიით, შედეგი ერთია... სხვანაირი ბიჭი იყო. ხშირად მეუბნებოდა, რატომ გამზარდე ასეთი, თუ იცოდი, რანი იყვნენ ქართველებიო... ვარკეთილში ბინა გვქონდა და რატიც, ძირითადად, იქ იყო, სულ მუშაობდა... ხშირად მიმეორებდა, მამა, თავი დაანებე, ვერ მოერევი ამ ხალხსო... რამდენჯერმე დაუხვდნენ ქუჩაში — მამაშენს უთხარი, თავი დაანებოს თეატრს, გაყიდულია უკვეო... მაგრამ ჩემთვის ეს ამბები არც უთქვამს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ხასიათი იცოდა... მე დამიწერა „სონეტი მამას“ — მოდი, ერთად გავფრინდეთ ზეცაშიო“.**

ზურაბ ნინუას არ სჯერა, რომ თეატრი იმ პერიოდში გაყიდული იყო და რატის ასე იმიტომ ეუბნებოდნენ, რომ დარწმუნებულიყო — ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ბატონ ზურაბს კი საკუთარი ნაშრომი ძალიან ენანებოდა — სახლიდან უამრავი რამ მივიტანე თეატრში, რათა მუშაობა არ შეეწყვიტაო და „ვერსიას“ უმხელს, რომ დანებებას არ აპირებს... ამას მოწმობს ეკა ბესელიასთვის, უჩა ნანუაშვილისთვის, დავით ნარმანიასთვის მიწერილი წერილები, თუმცა ჯერჯერობით, პასუხი არც ერთ მხარეს არ გაუცია. ბატონი ზურაბი კი ელის, როდის აღადგენს მერაბ კოსტავას სახელობის თეატრს, სადაც მხოლოდ სპექტაკლები კი არ გათამაშდება, მოსწავლეებსაც მიეცემათ საშუალება, დაეუფლონ ხელოვნების სხვადასხვა დარგს. არავინ იცის, რამდენად შორეულია ეს პერსპექტივა, ფაქტი კი ერთია — ზურაბ ნინუასთვის თეატრის აღდგენა ღირსების საკითხად ქცეულა „მხოლოდ ასე შევძლებ ჩემი შვილის ხსოვნისთვის რაღაც გავაკეთო“, — ასე ასრულებს ჩვენთან საუბარს და რედაქციას იმ იმედით ტოვებს, რომ კიდევ ერთ ქართულ თეატრს მაღალ ეშელონებში ერთი გულშემატკივარი მაინც გამოუჩნდება.

ზეგაანის „ყველაწმინდა“ — საერთო ხედი ჩრთილოეთიდან

## ქვათა მატიანე

# სამოთხე ზეგაანის ტყეში

### ჭერემის ქვეყანა

გელა ქოქიაშვილი

ჭერემისხევს დაბლა მოვყვებით და სოფელ **ზეგაანში** შესვლამდე ტყეში ვუხვევთ მარჯვნივ. ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილია მთელ საქართველოში, მაგრამ რა ხანია აღარ მინახავს. ასე რომ, განახლებულმა სამონასტრო კომპლექსმა თვალიც მომტაცა და სახტადაც დამტოვა... ველური ზღაპარი სამოთხეს დამსგავსებია, ტაძრები ბარდებისგან გაუწმენდიათ და აღუდგენიათ. ერთგან ნაგაზი წევს და მგონი, სუნით გრძნობს მტერ-მოყვარეს — არ გვიყეფს.

დიდი ტაძარი „ყველაწმინდა“ VI-VII საუკუნეების ქმნილებაა, მინიატურული „წმინდა მარინე“ IV-V საუკუნეების.

**შემოვლას „ყველაწმინდიდან“ ვიწყებთ. ეს არის დიდი, სამეკლესიანი ბაზილიკა (19,5X14 მ), რომლის გვერდითი ეკლესიები აღმოსავლეთით სწორკუთხა სადიაკვნოთი და სამკვეთლოთი სრულდება. ორივე ოთახი საკურთხეველს არქიტრავული კარით უკავშირდება, მაგრამ სამკვეთლო, სადიაკვნოსგან განსხვავებით, გვერდითა ეკლესიაშიც გადის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკლესიებს, რომლებიც სიგანეში ცენტრალური ეკლესიის ნახევარია, დასავლეთიდან გარშემოსავლელი აერთიანებს. გარშემოსავლელი ორსართულიანია და მასში ძირითადი დარბაზის პატრონიკის სარკმლები გამოდის. ტაძრის ფასადებს ამშვენებს თაღედებიანი კარიბჭეები, რომელთაგან დასავლეთისა ერთი სვეტიდან იხსნება, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კი ორი სვეტიდან**. რესტავრატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი მოწადინებით გაუმეორებიათ უძველესი ქვათა წყობის სიზუსტე და მშვენიერება. დაცულია არა მარტო წყობის თარაზულობა, არამედ ქვათა ფორმა და მოცულობა. რიყის ქვის გარდა სარკმლების გაფორმებაში და ზოგიერთ კონსტრუქციულ ნაწილში ყვითელი შირიმია გამოყენებული.

შიგნიდან ტაძარი მხოლოდ დასავლეთ მხარესაა ორსართულიანი — პატრონიკე, რომელიც პირველი სართულის თაღ-კამარას ეყრდნობა, აბსოლუტურად ღიაა. აღმოსავლეთით ტაძრის ძირითად დარბაზი, ბუნებრივია, საკურთხევლის აფსიდით სრულდება, მაგრამ აქ ერთი შეუსაბამობაა: აფსიდი ნახევარწრიულია, მისი კონქის თაღი კი ნალისებრი. ინტერიერის მონუმენტურობასა და სიმკაცრეზე ყურადღებას ამახვილებს კახური ტრადიციით ნაგები შიშველი კედლები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის ტაძრების უმეტესობა რიყის ქვითაა აგებული. ამას თავისი მიზეზი აქვს: მემატიანის თქმით, ეს მხარე თითქმის მთლიანად ტყით იყო დაფარული და ერთადერთი ხელმისაწვდომი სამშენებლო მასალა ხევებში დაგროვილი რიყის ქვა გახლდათ.

ზეგაანის „წმინდა მარინეს“ ინტერიერი და საერთო ხედი

აქვე მცირე რაოდენობით შირიმიც მოიძებნებოდა. ერთი მიზეზი სწორედ ესაა, რომ კახელ ოსტატებს რელიეფებით კედლების დამშვენება და წარწერების ამოკვეთა ძალიან უჭირდათ. ისინი უმთავრეს ძალისხმევას ნაგებობის სიმტკიცესა და ხუროთმოძღვრული ფორმების შექმნას ახმარდნენ, რაც წარმატებით გამოსდიოდათ კიდეც. ზეგაანის „ყველაწმინდა“ ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია.

„ყველაწმინდის“ სამხრეთ-დასავლეთით, სამ მეტრში დგას განვითარებული შუასაუკუნეების აღდგენილი სადა, დარბაზული ეკლესია, ხოლო მონასტრის გალავანში შემონახულია სატრაპეზოს, კელიების, მარნისა და კარიბჭის ფრაგმენტები.

**წინა წერილების მსგავსად თხრობაში ისევ უნდა შემოვიტანოთ წმ. ნინოს მოგზაურობის თემა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან მოციქულთასწორმა თავისი მისიონერული მოგზაურობისა და მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი კახეთს მიუძღვნა. ქცელდაბაში (ე.ი. ჭერემის წვეროდაბაში) კახეთის ერისთავების და ქვეშევრდომების მონათვლის შემდეგ პეროზისა და მისი ერის მოსანათლად ბარდავისკენ მიმავალი წმ. ნინო ველისციხისკენ დაუყვებოდა გზას ჩვენსავით და ზეგაანში გაივლიდა. თუ ჭერემში წმ. ნინო იქ ყოფნის აღსანიშნავი ნიშანსვეტები — IV საუკუნის ეკლესიები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში განადგურდა, ზეგაანში ასეთი ეკლესია (და მერე რა ძეგლი!) სასწაულებრივად გადარჩა. მკვლევართა ერთი ჯგუფი მას V საუკუნეს განაკუთვნებს, მაგრამ სასწორი უფრო IV საუკუნისკენ იხრება. ეს არის საქართველოში დღემდე უცვლელად შემონახული ყველაზე ძველი თავისუფალი სტილის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი „წმინდა მარინე“, რომელიც „ყველაწმინდიდან“ ჩრდილო-აღმოსავლეთით, 80 მეტრში დგას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 311 წელს მოკლული, ულამაზესი და დიდმოწამე ქალწული მარინეს სახელობის ტაძრების სიმრავლე საქართველოში იქიდანაც გამომდინარეობს, რომ, გადმოცემის თანახმად, მისი ერთ-ერთი მოკვეთილი მლავი საქართველოში ინახება. და კიდევ: თითქმის ყველა „მინდა მარინე“ ჩვენში ადრექრისტიანული ეპოქის საყდარია.** ზეგაანის ეს საყდარი მინიატურულია. მისი თითოეული მკლავი სიღრმეში მხოლოდ ერთი მეტრია, თუმცა, ამასთანავე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავების სიმაღლეში 30 სანტიმეტრით ჭარბობს სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებს, რაც გარედანაც თვალნათლივია. ამიტომ კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ადრე შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ტრომპებით. კვადრატის ფუძის გასწორება კედლების ამაღლება-გათანაბრებითაა მიღწეული. მინიატურულია გუმბათის სიმაღლეც — 35 სმ. მთავარი უცნაურობა კი ისაა, რომ გუმბათი გარედან არ ჩანს — იგი ძირითად მკლავების ღერძის გასწვრივ გადატარებული ორქანობა სახურავის ქვეშაა შეყუჟული. ტაძარი კარგად შერჩეული და პირმოსწორებული რიყის ლოდებითაა ნაგები და გარედან თხოთის მთის დარბაზული ეკლესიის პატარა ასლს ჰგავს. ინტერიერი XVI საუკუნეში შეულესავთ და მოუხატავთ. მხატვრობა დიდად მოსაწონი არაა, მაგრამ ტაძარში მყოფს მინიატურული ხუროთმოძღვრული ფორმების ისე აღგაფრთოვანებს, რომ ამ მხატვრობასაც ვერ დასდებ წუნს.

ზეგაანს თითქმის ზედ ეკვრის **ახაშენი**. უძველესი დროიდან დასახლებული ეს სოფელი მოგვიანებითი პერიოდიდან საკათალიკოსო (სვეტიცხოვლის) და სამეფო კუთვნილება გამხდარა. ახაშენში ორი კოშკი და ოთხი ეკლესიაა, მაგრამ, რაკი კახეთში უძველესი და ადრექრისტიანული კვალის საძიებლად ვარ წამოსული, უმთავრესად VI საუკუნის მიტოვებული საყდარი მაინტერესებს, რომელსაც უცნაური მეტსახელიღა შემორჩა — „**ყვავის საყდარი**“... ამ გამონაგონი სახელით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მათ შორის მეზობელ ვაჩნაძიანში) გვხვდება სხვადასხვა ეპოქის ტაძრები და ყველას ერთნაირი ლეგენდა უდევს საფუძვლად — როგორ გადაარჩინა ყვავმა ეკლესიის მშენებლები გველისგან.

**ახაშენის „ყვავის საყდარი“, რომელიც მაზანაშვილების ეზოში დგას, ტრადიციული კახური სტილით ნაგები სამეკლესიანი ტაძარი ყოფილა და სანამ განაპირა ეკლესიები და გარშემოსავლელი ჰქონია, სიგრძეში 12 და სიგანეში 10 მეტრამდე ბევრი არაფერი კლებია.** ამჟამად, მისგან ჩრდილოეთ ეკლესიის ჩრდ-აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტი და უკამაროდ დარჩენილი ცენტრალური ეკლესიაა მოღწეული. როგორც ჩანს, ტაძარს ორი თაღნარიანი კარიბჭე ჰქონდა დასავლეთიდან და სამხრეთიდან. საყდარი VI-VII საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული და როგორც ამ დროის თითქმის ყველა ძეგლი, მნახველში ისიც წარუშლელ კვალს ტოვებს.

მუკუზანის „სვეტიცხოვლის“ ინტერიერი

ახაშენის შემდეგ ჭერმისხევის მარცხენა სანაპიროზე მდებარე **ველისციხეში** მივდივართ. ველისციხე V საუკუნიდან ჩანს ჩვენს ისტორიაში. იგი გორგასალმა ჭერმის თანადროულად ააშენა, როგორც უჯარმიდან და ხორნაბუჯიდან მომავალი დიდი სავაჭრო გზების შემკრავი და ჩამკეტი პუნქტი. **როდესაც ქალაქმა ჭერემმა ჭერმის ქვეყნის (კახეთის პროვინციის) პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია დაკარგა და მხოლოდ საეპარქიო ცენტრად დარჩა, საერო ხელისუფლება ბარად ჩამოვიდა და სავარაუდოდ, კალაურამდე მცირე ხნით მაინც, ველისციხეში იჯდა. ველისციხის, როგორც შიდა კახეთის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის მფლობელობა განაპირობებდა სწორედ ჭერემის ქვეყნის მფლობელების „გარდარეულ სიმდიდრეს“.**

ეკლესიები, ბუნებრივია, ველისციხეშიც მრავლადაა. დასახლების ცენტრში, IX საუკუნის დანგრეული ციხე-დარბაზის ეზოში, XIX საუკუნის ორი ეკლესიის („წმ. მარიამი“ და „წმ. გიორგი“) სიახლოვეს შემონახულია VI საუკუნის „ყველაწმინდა“ — 1983 წელს შეძლებისდაგვარად აღდგენილი და დაკონსერვებული სამეკლესიანი ტაძარი. მისი ცენტრალური ეკლესია სიგრძეში 11 მეტრს აჭარბებს და ღრმა ნალისებრი აფსიდით სრულდება. სიგანე 4,5 მეტრს აღწევს. საკურთხეველი გამოყოფილია გვიანდელი ქვის კანკელით.

ტაძრის თაღებსა და კონქს, აფსიდის მსგავსად, ნალისებრი ფორმა აქვს, ხოლო კარებისა და სარკმლების გადახურვა უმეტესად არქიტრავულია. ძირითად ეკლესიას ჩრდილოეთიდან მცირე, უაფსიდო სამლოცველო და გარშემოსავლელი ჰქონია, რომლებიც ერთმანეთისგან კედლითაა გამიჯნული. აფსიდიანი სამხრეთი სამლოცველო და დერეფანი გაერთიანებულია და მათ კედელში ორთაღიანი კარიბჭეა გაჭრილი. ტაძარს მეორე და მესამე შესასვლელი დასავლეთისა და ჩრდილოეთის გარშემოსავლელებიდანაც აქვს. ძირითად ეკლესიის საკურთხევლის აფსიდში ტრაპეზის ორი ქვაა შემონახული, ხოლო ჩრდილოეთ სამლოცველოს შესასვლელთან, მარცხენა მხარეს, კედელზე მიდგმულია სავარძლის მსგავსი დიდი ლოდი, რომელიც მცხეთის მუზეუმში და ძლევისქედზე (კავთისხევთან) ნანახ წარმართული სალოცავის სამსხვერპლო ქვებს წაგავს. შთაბჭედილება აქაც წარუშლელია.

ჭერმისხევის ბოლო, მეოთხე დასახლებული პუნქტი მეღვინეობით განთქმული კიდევ ერთი სოფელი — **მუკუზანია**. როგორც ირკვევა, თავის დროზე, ეს სოფელიც საკათალიკოსო მამულებში შედიოდა და უშუალოდ მცხეთის „სვეტიცხოვლის“ წინამძღვარი პატრონობდა. სხვადასხვა ისტორიული საბუთის გარდა, ამის ერთ-ერთი დასტურია მუკუზანის ცენტრში ზედ საავტომობილო ტრასის პირზე, მდგარი ეკლესია „**სვეტიცხოველი**“. VI საუკუნის ეს ტაძარო მოქმედია, თუმცა არაერთი გადაკეთების მოწმეა. დავინწყოთ იმით, რომ სამეკლესიანი ბაზილიკიდან მხოლოდ ცენტრალური დარბაზია გადარჩენილი (20X6,5 მ.), რომლის კედლებშიც დანგრეული გვერდითი ეკლესიების ქვებია ჩატანებული სავარაუდოდ, ეს შეკეთება თუ გადაკეთება უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნეში. სწორედ ამ დროს ტაძრის სიმტკიცისთვის მის გრძივ კედლებზე შიგნიდან ოთხი წყვილი მრგვალი და ტლანქი სვეტი მიუდგამთ. მათზე გრძივი და განივი თაღებია გადაყვანილი, ამიტომ თუ ზედმიწევნით არ დავაკვირდით, ფასადებიც და ინტერიერიც 1500 წლის წინანდელ სურათს ვერ წარმოგვიჩენს.

*ავტორის ფოტოები*

ახაშენის „ყვავის საყდრის“ და ველისციხის „ყველაწმინდის“ საერთო ხედები

# სუდოკუ

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 7 | | 1 | 9 | | | 5 |
| | | 2 | | | 7 | | | 9 |
| | | | | | 4 | | 3 | |
| | | | | | 5 | | 1 | 3 |
| | | 4 | | 6 | | 9 | | |
| 1 | 7 | | 4 | | | | | |
| | 1 | | 9 | | | | | |
| 8 | | | 7 | | | 3 | | |
| 7 | | | 5 | 4 | | 6 | 2 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 7 | | 5 |
| | | | | | | | | 4 |
| | | | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | |
| 5 | | 7 | 3 | 1 | | | 8 | |
| | 3 | | | 7 | | | 2 | |
| | 2 | | | 4 | 6 | 5 | | 3 |
| | 9 | 2 | 1 | 5 | 8 | | | |
| 7 | | | | | | | | |
| 3 | | 8 | | | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 2 | | 6 | | 9 | |
| | | | | | 4 | 8 | 3 | |
| | 7 | | | | | | | 2 |
| | | | | | 2 | | | 5 |
| | | 7 | | 3 | | 2 | | |
| 4 | | | 8 | | | | | |
| 6 | | | | | | | 7 | |
| | 8 | 1 | 5 | | | | | |
| | 5 | | 4 | | 1 | | | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 8 | 1 | | 2 | | |
| | | 7 | | | 4 | 3 | | |
| | 1 | | | | 2 | | 9 | |
| 6 | | | 7 | | | 1 | 3 | |
| | | 2 | | | | 8 | | |
| | 7 | 1 | | | 3 | | | 6 |
| | 2 | | 3 | | | | 8 | |
| | | 3 | 2 | | | 7 | | |
| | | 9 | | 7 | 5 | | 2 | |

# „მასობრივი სწავლების იარაღი“

ბუენოს-აირესელი მხატვარი რაულ ლემესოფი, კომპანია 7Up-ის მხარდაჭერით, ქალაქის ქუჩებში ტანკით დადის, რომელიც მალე მთელ არგენტინას მოივლის. მძიმე ტექნიკა პირდაპირი დანიშნულებით არ გამოიყენება — Ford Falcon-ის ბაზაზე უნიკალური სატრანსპორტო საშუალებაა აწყობილი, რომელსაც 900-მდე წიგნი გადააქვს. პროექტის ავტორი ერთგვარ მოძრავ ბიბლიოთეკას და „მასობრივი სწავლების იარაღს“ უწოდებს. მხატვარი წიგნებს უფასოდ ურიგებს ყველა მსურველს იმ პირობით, რომ აუცილებლად წაიკითხავენ.

მსგავს ქველმოქმედებას ეწევა იტალიელი მასწავლებელი ანტონიო ლა კავაც — მისი ბორბლებიანი ბიბლიოთეკა 700-მდე წიგნს იტევს. პედაგოგმა მოიფიქრა, როგორ გაეღვივებინა ბავშვებში კითხვის სურვილი და ჯერ კიდევ 2003 წელს შეიმუშავა „მოძრავი ბიბლიოთეკის“ პროექტი. მას შემდეგ იგი იტალიის ღარიბ რაიონებში მოგზაურობს და ბავშვებს უფასოდ ურიგებს წიგნებს. ანტონიო ამბობს, რომ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია — უბრალოდ, იყიდა მოტოციკლი და თავად ააწყო ერთგვარი ფურგონი, რომელსაც ბევრი წიგნის დატევა შეუძლია. ყოფილი მასწავლებელი ამბობს, რომ ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან, სადაც არ აქვთ საშუალება წიგნების ყიდვისა, ძალიან ბედნიერები არიან, როცა მათთან „მოძრავი ბიბლიოთეკა“ მიდის.

# ცუდი ამბების მოსმენა სასარგებლოა

ამერიკელმა და ბელგიელმა სწავლულებმა, ხანგრძლივი კვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ ადამიანების უმრავლესობას ურჩევნია, უარყოფით ახალ ამბებს ტელევიზიით უყურონ ან მათ შესახებ პრესაში წაიკითხონ. მეცნიერების კვლევა იმ თეორიას ეფუძნებოდა, რომლის მიხედვითაც ადამიანები მეტ საგრებელს სწორედ უარყოფითი ინფორმაციით იღებენ. მკვლევართა აზრით, ეს ფენომენი იმითაა გამოწვეული, რომ ნეგატიური ცნობის მიღების შემდეგ, ადამიანი სხვის შეცდომას ითვალისწინებს და ცდილობს, მსგავსი ვითარება თავიდან აიცილოს — ანუ სხვის შეცდომაზე სწავლობს. სწავლულთა მტკიცებით, დადებითი ახალი ამბები კი დაუფიქრებელი მოქმედებისკენ უბიძგებს.

# ქრონიკული დაღლილობა ვირუსის ბრალია

ადამიანის ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება, შესაძლოა, ვირუსით იყოს გამოწვეული, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები უაიტ-პეტერსონის ინსტიტუტიდან და დასძენენ, რომ ეს ვირუსი XNRY-ს სახელითაა ცნობილი, ცხოველური წარმოშობისაა და აქვს უნარი, ადამიანის ორგანიზმში „იცხოვროს“. კვლევებით დადგინდა, ვირუსი იმ პაციენტთა 67%-ში არსებობს, ვინც გამუდმებულ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დაღლილობას უჩივის. გაირკვა ისიც, რომ საგრძნობლად ასუსტებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენის შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქრონიკული დაღლილობა შეიძლება ავადმყოფობად ჩაითვალოს და ასეთ შემთხვევაში მკურნალობის კურსიც დაინიშნოს. სტატისტიკის მიხედვით, დღეისთვის ამ სინდრომით მსოფლიოში 17 მილიონი ადამიანი იტანჯება.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 2 | 3 | 8 | 7 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 3 | 2 | 5 | 6 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 8 | 4 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 1 |
| 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 3 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 7 | 5 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 |
| 5 | 4 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 7 | 3 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 5 | 9 |
| 3 | 5 | 8 | 6 | 9 | 7 | 1 | 4 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 |
| 9 | 3 | 8 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 3 | 5 | 2 | 4 | 8 |
| 4 | 2 | 5 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 5 | 7 | 1 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 4 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 4 | 8 | 1 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 | 7 |
| 6 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 | 6 |
| 7 | 2 | 6 | 3 | 4 | 9 | 5 | 8 | 1 |
| 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 |

მე-12 გვერდი: 1. დეზდემონა; 2. ბაიკალი; 3. დევიზი; 4. ზღარბი; 5. ელიტა; 6. ალკოჰოლი; 7. კემერონი; 8. ლეტო; 9. ავდარი; 10. ემბლემა; 11. რქა; 12. კომეტა; 13. ანანასი; 14. იმამატი; 15. ზებრა; 16. მანო; 17. პეტიცია; 18. ჰერა; 19. ალბომი; 20. ქიმია; 21. მუნი; 22. ანჩისხატი; 23. ლენა; 24. ბელი; 25. ოიდიუმი; 26. აპოგეა; 27. ჭილი; 28. მატე; 29. ტასმანია; 30. გიდი; 31. პოლ უოკერი; 32. მამონტი; 33. გლედიჩია; 34. ნიორი; 35. კატაი; 36. ანოა; 37. ალია; 38. გედია; 39. დიცი; 40. გვირისტი; 41. ფლამინგო; 42. ერმიტაჟი; 43. ალენ; 44. გუფი; 45. ნიკეა; 46. იდა; 47. მეტისი; 48. უხა; 49. ვოლონტიორი; 50. თაფლი; 51. ეტი; 52. რაკია; 53. სიგმა; 54. მთიები; 55. რემისია; 56. აიეტი; 57. თამადა; 58. მწყერი; 59. ინგირი; 60. სულუ; 61. ოინი; 62. გნომი; 63. ინგა; 64. სინოლოგია; 65. ფატა; 66. ნოტი; 67. წუთი; 68. მოა; 69. ცომი; 70. ტულონი; 71. ნოტიო; 72. ინჟენიუ; 73. ელეგია; 74. მამაი; 75. ცდა; 76. დაიმი; 77. ტუ; 78. რაიმსი; 79. სიო; 80. სტალონე; 81. ია; 82. ცია.

# 23-26 ივლისს, ბათუმი შავი ზღვის მეცხრე ჯაზფესტივალს უმასპინძლებს

**თიბისი გალერეაში, შავი ზღვის ჯაზფესტივალისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე და „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორი გიორგი კერესელიძე უძღვებოდნენ. 23-26 ივლისს, ბათუმში, შავი ზღვის სანაპიროზე, ყველაზე მასშტაბური, რიგით მეცხრე, „შავი ზღვის ჯაზფესტივალი“ გაიმართება, სადაც ტრადიციულად, მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები გამოვლენ. მათ შორის, George Clinton Parliament Funkadelic, Liv Warfield feauturing the NGP Hornz, Lisa Stansfield და Snoop Dogg.**

## საქართველოში მსოფლიო ვარსკვლავები ღიზა სტენფიღდი, Snoop Dogg და ჯორჯ კლინტონი ჩამოვლენ

2015 წელს, შავი ზღვის ჯაზფესტივალი მეცხრედ ტარდება, რომლის მთავარი სპონსორი და პარტნიორი, უკვე მეოთხედ, თიბისი ბანკია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის განცხადებით, ეს სახელმწიფოსა და ბიზნესის შესანიშნავი თანამშრომლობის მაგალითია. მას შემდეგ, რაც ჯაზფესტივალს თიბისი ბანკი შეუერთდა, ფესტივალის მასშტაბიც გაიზარდა და მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავების რაოდენობაც, რომლებსაც ამ ფესტივალზე იწვევენ.

**„აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა — იუნესკო-მ და გაერო-მ, 30 აპრილი, ჯაზის საერთაშორისო დღედ გამოაცხადეს. ეს ორგანიზაციები ჯაზის განვითარებას დემოკრატიის განვითარებად აღიქვამენ და თუ რომელიმე ქვეყანაში ჯაზფესტივალი ტარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ კულტურულ-ინტელექტუალური შეგნებაც მაღალია და ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია. რაც მთავარია, ჯაზფესტივალი ქვეყნის ცნობადობას ზრდის და ვფიქრობ, შავი ზღვის ჯაზფესტივალი, როგორც შიდა, ასევე გარეტურისტების რაოდენობასაც გაზრდის. ყველა მსურველს ვთხოვ, 23-26 ივლისს, ბათუმში ჩამოვიდეს და ჯაზფესტივალს დაესწროს“,** — განაცხადა **მიხეილ გიორგაძემ.**

კონცერტები 4 დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს, ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე გაიმართება. ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს, ფასიანი კონცერტების გარდა, საშუალება ექნებათ, უფასოდ დაესწრონ NEW YORK BRASS BAND-ის კონცერტებს, რომელიც ბათუმის ბულვარში, მთელი დღის განმავლობაში გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში, კლუბ Take Five-ში კონცერტებს გამართავს ასევე House Band. ამერიკელ მუსიკოსებთან ერთად, კონცერტებს ნიუ-იორკში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი, გიორგი მიქაძე გაუძღვება.

ფესტივალის წარმდგენი, ტრადიციულად, თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურება TBC Status-ია. მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, აჭარის კულტურის სამინისტრო და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ფესტივალის ორგანიზატორია, კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, წელს, პირველად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ფესტივალის წარმომდგენმა, თიბისი ბანკის პერსონალურმა საბანკო მომსახურებამ TBC STATUS-მა, ჯაზფესტივალის არტპოსტერის შესაქმნელად, კონკურსიც გამოაცხადა. კონკურსის მიზანია, გამოავლინოს ორიგინალური ნამუშევარი, რომელიც 2015 წლის ზაფხულის ფესტივალის მთავარი ატრიბუტი იქნება. პოსტერის კონცეფცია ჯაზი, მუსიკა და ზღვა იქნება. ნამუშევრები მიიღება ელექტრონული ფორმით, მისამართზე jazzposter@caucasus.net, 1 აპრილიდან, 1 მაისის ჩათვლით და აიტვირთება ვებ-გვერდზე http://tbilisijazz.com. ამ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

„შავი ზღვის ჯაზფესტივალის“ არტპოსტერის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში, ორი გამარჯვებული გამოვლინდება. ორგანიზატორების რჩეული დაჯილდოვდება ფულადი პრემიით — 2 000 ლარის ოდენობით და შავი ზღვის ჯაზფესტივალის ყველა კონცერტზე დასასწრები 2 VIP ბილეთით. მეორე გამარჯვებული დაჯილდოვდება ფულადი პრემიით 1 000 ლარის ოდენობით და შავი ზღვის ჯაზფესტივალის ყველა კონცერტზე დასასწრები 2 ბილეთით. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება სოციალური ქსელის მომხმარებლის ფავორიტი, რომელიც ყველაზე მეტ მოწონებას (Like-ს) დაიმსახურებს. მას ფესტივალზე დასასწრები ბილეთები გადაეცემა.

*მაია მიშელაძე*

## გართობა






ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.